პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 21 (12229)
ხუთშაბათი, 25 იანვარი 1962 წ.
გამოცემის 42-ე წელი

ფასი 2 კაპ.

კომუნიზმისკენ გვიჭირავს გზა

საბჭოთა კავშირი გიგანტური ნაბიჯებით კეცავს დიდ გზას. ჩვენი გზა მოუკირწყლავია, იგი დაგებული არ არის ფიანდაზებით, მაგრამ თვითეული ნაბიჯი ამ გაუწალდავ გზაზე, ყოველი სიმალლის დაპყრობა დიდების დაფნის გვირგვინებით მოსავს საბჭოთა ხალხს, ჩვენს გმირ ადამიანებს.

ასეთი მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ საბჭოთა ქვეყანამ 1961 წელს — შვიდწლედის მესამე წელს. ამის შესახებ მოთხრობილია ციფრებისა და ფაქტების ნათელი და ხატოვანი ენით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში. ჩვენს ქვეყანაში პროდუქციის გამოშვება 1960 წელთან შედარებით გაიზარდა 9,2 პროცენტით; მრეწველობის საერთო პროდუქცია შვიდწლედის განვლილ სამ წელიწადში გაიზარდა 33 პროცენტით. დიდი გამარჯვებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. განუხრელად ამაღლდა და წინ წავიდა ჩვენი ქვეყნის მთელი სოციალისტური ეკონომიკა, გაფართოვდა კულტურული მშენებლობა, კიდევ უფრო გაუმჯობესდა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა.

წაიკითხე ამ სტრიქონებს, ჩაათვალიერეს სვეტებში ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ ციფრებს და გული სიხარულით გევსება. თითქოს სიტყვები ცოცხლდებიან, ხორცს ისხამენ და მოძრაობას იწყებენ; თითქოს ციფრები მწყობრში დგებიან და მოიერშეთა უზარმაზარ არმიებს ქმნიან. ჩვენი წინსვლა ხომ მართლაც მოიერშე ლაშქრის წინსვლაა. ლაშქარი საბჭოთა ხალხია, რომელსაც იერიში მიაქვს კომუნიზმის ზღუდეებზე და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველდღიურად, ყოველწლიურად აახლოებს საბოლოო გამარჯვებას.

ამ ციფრების ძალა ჩვენთვის, ჩვენი მეგობრებისათვის მზიური ძალაა, რომელიც გვათბობს, გვახალისებს, სიცოცხლეს გვმატებს და გზას გვნათებს; ხოლო მტრისათვის ეს ციფრები მის თავზე ატომური ბომბების აფეთქებაა. შვიდწლედის მესამე წლის შედეგები საბჭოთა ხალხს განუმტკიცებს კაპიტალიზმის მთავარ ქვეყანასთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან — მშვიდობიან შეჯიბრებაში გამარჯვების რწმენას. ამის ნათელი დადასტურებაა ციფრები და კვლავ ციფრები, რომლებსაც, როგორც საუთარ ლანდს, ვერსად გაექცევი. მაშინ როცა ჩვენს ქვეყანაში 1961 წელს სამრეწველო წარმოების ზრდამ ცხრა პროცენტს გადააჭარბა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მან მხოლოდ ერთი პროცენტი შეადგინა. ციფრების სიმფონია კაპიტალის ქვეყნებში სამგლოვიაროა.

სასიხარულოა, რომ განუხრელად მიიწევს მაღლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკა, კულტურა. უფრო მდიდარი, ღრმაშინაარსიანი და მიმზიდველი ხდება ჩვენი ადამიანების ყოფაცხოვრება. კანონიერი სიამაყის გრძნობით ჩაიკითხავენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობას, რომელიც „კომუნისტის" დღევანდელ ნომერშია დაბეჭდილი.

საქართველოს სსრ მრეწველობის მიერ 1961 წლის საერთო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1960 წელთან შედარებით 5 პროცენტით გაიზარდა. შვიდწლედის პირველ სამ წელიწადში რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდა 21 პროცენტით.

1961 წელს თავდადებით იშრომა და უხვი მოსავალი მოიყვანა საქართველოს სოფლის მეურნეობის ბერმა მშრომელმა, წარმატებები მოიპოვა არაერთმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, თავი ისახელეს მეჩაიეებმა, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ხილის, ციტრუსებისა და დაფნის ფოთლის შესყიდვის გეგმები.

მაგრამ როცა ვლაპარაკობთ წარმატებებზე, როცა ვლაპარაკობთ ციფრების ჯარისკაცებზე, ციფრების მზიურ ძალაზე, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ არსებობენ ჩვენი საქმიანობის შედეგების გამომხატველი სხვაგვარი ციფრებიც, არსებობენ მძიუტავი, უღიმღამო ციფრები, რომელთა უკან დგანან ასევე მძიუტავი და უღიმღამო ადამიანები, უუნარო და უპასუხისმგებლო ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ რაზმავენ ადამიანებს საიერიშოდ, ვერ უზრუნველყოფენ საქმის წარმატებას.

საშიში სენი, რომელიც ყოველი ღონისძიებით უნდა მოისპოს, ეს არის ხალართო მაჩვენებლებით დაკმაყოფილება. ბევრი მოწინავე სამრეწველო საწარმოს, კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის საერთო კარგ მაჩვენებელს უკან იმალება სერიოზული ნაკლოვანებანი, ჩამორჩენა და ხარვეზები. არიან ჩამქრალი ადამიანები, რომლებიც თავს იწონებენ შუქურების შუქით.

არ შეიძლება გულცივი დავრჩეთ იმ ფაქტის წინაშე, რომ მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია, მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა საერთო რიცხვიდან წლიური გეგმა ვერ შეასრულა 102 საწარმომ, ანუ 19 პროცენტმა. ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 28,7 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

რატომ? რას ფიქრობს სახალხო მეურნეობის საბჭო? საწარმოთა თითქმის მეხუთედი გეგმას ვერ ასრულებს. ეს მოსვენებას უნდა უკარგავდეს სახალხო მეურნეობის საბჭოს თვითეულ მუშაკს. ამ ციფრებს სიზმარშიც კი უნდა ხედავდნენ ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელები. ასე რომ იყოს, მაშინ ალარ იქნებოდა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენს თვალწინ თვეობით და წლობით ჩამორჩება არა ერთი და ორი საწარმო.

სოფლად? ბევრი რაიონის კარგ საშუალო მაჩვენებლებს უკან არიან ჩამორჩენილი, ეკონომიურად სუსტი მეურნეობანი, მაგრამ ქმედითად არავინ იბრძვის მათი დაწინაურებისათვის, ფართო გზაზე გამოყვანისათვის. თვით უმცირეს მოწინავე კოლექტივებშიც კი — რგოლში, ბრიგადაში — არიან ჩამორჩენილები. ასეთ კოლექტივს საამაყო მცირე აქვს. თუ ჩვენს შორის არიან ჩამორჩენილები თავმოსწონი რა გვაქვს? პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების, თვითეული მუშაკის, თვითეული მშრომელის ვალია იბრძოლოს იმისათვის, რომ არ გვყავდნენ ჩამორჩენილები, რომ კოლექტივში მოწინავე იყოს ყველა, რომ მოწინავე საწარმოთა თამამ და გაბედულ საყვირს არ აკნინებდეს ჩამორჩენილთა კნავილი.

ჯერ კიდევ ბევრგან ვერ შეუგნიათ, რომ წინსვლის, გამარჯვებათა აუცილებელი პირობაა მოწინავე გამოცდილების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა. ზოგიერთი ხელმძღვანელი მოწინავე გამოცდილებას ეძებს ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, მაშინ როცა იგი თვალწინ აქვს. ყველაზე ჩამორჩენილ კოლექტივშიც კი არიან მოწინავე ადამიანები. პირველ რიგში ხელი უნდა ჩავჭიდოთ მათს გამოცდილებას და მთელი კოლექტივის კუთვნილება გავხადოთ იგი. იშვიათად როდი ხდება, რომ შუქურების შუქი ვერ აღწევს ჩამორჩენის ნაპუჭში გამომწყვდეულ ზოგიერთ ვაი-ხელმძღვანელამდე. თუ გვსურს ვიდგეთ მებრძოლთა პირველ რიგებში, თუ გვსურს პირნათლად ვასრულებდეთ სახელმწიფო გეგმებს, ვამაღლებდეთ შრომის ნაყოფიერებას, ვამცირებდეთ პროდუქციის თვითღირებულებას, — საჭიროა დაუღალავად, ბეჯითად, გონივრულად ვავრცელებდეთ მოწინავეთა გამოცდილებას; საჭიროა წარმოებაში ვნერგავდეთ ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ვახორციელებდეთ წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

ამ საკითხებისადმი მეტ უურადღებას როგ იჩენდნენ, ალარ იქნებოდა ის მდგომარეობა, რომ ისეთი მოწინავე საწარმოც კი, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, არარენტაბელურია, ზარალს აძლევს სახელმწიფოს.

ამ საკითხებისადმი უუურადღებობით აიხსნება, რომ თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობს ტექნიკის საგრძნობი ნაწილი, რომელიც ფიზიკურად გაცვდა და მორალურად მოძველდა. საჭირო ტემპით არ მიმდინარეობს ავტომატიზაციის სამუშაოები, სიახლეთა დანერგვა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. თუ მოწინავე საწარმოებში, მოწინავე კოლექტივებში ყველაფერი რიგზე არ არის, ცხადია, რა ტიტანური მუშაობა მოელით ჩამორჩენილ კოლექტივებს, პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომ ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე. მათ ეს მუშაობა უნდა შეასრულონ, ჩამორჩენა ყველგან უნდა დავძლიოთ.

ჩვენ შევჯაჭვეთ გასული წლის მუშაობის შედეგები. საჭიროა თვითეული კოლექტივი, თვითეული მშრომელი, იგი იქნება მუშა თუ კოლმეურნე, ინჟინერი თუ აგრონომი, მოსწავლე თუ მეცნიერი — ღრმად ჩაუფიქრდეს ამ შედეგებს, ღრმა ანალიზი გაუკეთოს თავის წარსულ შრომას და გამოიტანოს დასკვნები, დაიახოს მოკმედების კონკრეტული გეგმა. ციფრების სარკეში, რომელიც ახლა ჩვენს წინაშეა, ჩვენ უნდა დავინახოთ არა მარტო წარსული შრომის შედეგები, არამედ უნდა მივაგნოთ წინსვლის უკეთეს გზას, უნდა განვსჯვრეტოთ მომავლის გეგმები. საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, რომ აქედანვე, წლის დასაწყისიდანვე უქმად არ დავკარგოთ არც ერთი დღე, აქედანვე მთელი სვლით დავძრათ შვიდწლედის მეოთხე წლის ლოკომოტივი.

აამოძრაონ მთელი ჩვენი რეზერვები, სრულიად გამოიყენონ ჩვენი უდიდესი შესაძლებლობანი — ამ აზრით, ამ მხურვალე მისწრაფებით შრომობენ საბჭოთა ადამიანები. ახალი შრომითი გმირობისათვის მათ აღაფრთოვანებს მშობლიური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, პარტიის პროგრამა.

1961 წლის შედეგები ახალი ძალით ადასტურებს, რომ საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს შვიდწლიან გეგმას. კიდევ უფრო დიად პერსპექტივებს სახავს ჩვენს წინაშე შვიდწლედის მეოთხე წელი. ვიშრომოთ ისე, რომ 1962 წლის შრომის შედეგები იყოს უფრო სასიხარულო და გულს გვიმზიანებდეს.

ჩვენს დიად სამშობლოში

სალტის ქარხნის ახალი კორპუსები

მიმდინარეობს რეკონსტრუქცია იაროსლავლის უდიდესი საწარმოს — სალტის ქარხნისა, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტ ავტომობილის საბურავსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სალტეებს აძლევს ჩვენს ქვეყანას. ახლა საწარმოში შენდება კიდევ ორი ხუთსართულიანი საწარმოო კორპუსი. ერთ-ერთ მათგანში მთავრდება მოწყობილობის მონტაჟი. საწარმოო ფენები აღიჭურვება ყველაზე თანამედროვე ჩარხებითა და აგრეგატებით. მიმდინარე წელს ქარხანა მკვეთრად გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

მიგანტი აბლოუპარიკა

მძლავრი საადლომრაციო ფაბრიკა შენდება ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ ქარხანაში. ფაბრიკა მადნის ნედლეულს მიაწვდის ინდუსტრიული ლიპეცკის ბრძმედებს.

ეს ფაბრიკა დიდი ნაგებობაა. იგი აღიჭურვება ზომმძლავრი საადლომრაციო მანქანებით. ყოველი ასეთი აგრეგატი გამოუშვებს დაახლოებით სამმილიონნახევარ ტონა აგლომერატს წელიწადში.

შვიდწლედის დამკვრელურ მშენებლობაზე დღითიდღე ფართოვდება სამუშაოთა ფრონტი. მშენებლებმა დაიწყეს მთავარი საადლომრაციო კორპუსის მშენებლობა. სწრაფად შენდება მთელი რიგი სხვა ობიექტები.

ესტონური ხალიჩები

ხალიჩების საცდელი პარტია გამოუშვა ხალიჩის ფაბრიკის პირველმა რიგმა, რომელიც ესტონეთში შენდება ჩუდის ტბის ნაპირზე. სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ საწარმო ყოველწლიურად დაამზადებს 50 ათას კვადრატულ მეტრ შალის ხალიჩას და დიდძალ საფენს.

ფაბრიკაში ყველა პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია.

საქართველოს მხატვართა მეხუთე ყრილობა

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას განაგრძობდა საქართველოს მხატვართა ეხუთე ყრილობა.

მოსმენილ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. მესხი**, მხატვარი **ა. ხელაძე**, საქართველოს სახალხო მხატვარი **ლ. გუდიაშვილი**, გრაფიკოსი **გ. მირზოევი**, მოქანდაკეები **რ. შერიოზი**, **მ. ბერძენიშვილი**, ხელოვნებათმცოდნე **გ. ჯაფარიძე**, მხატვარი **გ. თოთიბაძე**, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის თავჯდომარის მოადგილე **ზ. ლეჟავა**, მოქანდაკე **გ. ოჩიაური**, ხელოვნებათმცოდნე **დ. არსენიშვილი**, მხატვრები **გ. გელაშვილი**, **ჯ. ხუნდადე**, **კ. მახარაძე**, **ე. კალანდაძე**, მოქანდაკეები **მ. თალაკვაძე**, **ე. ამაშუკელი**, საქართველოს სახალხო მხატვარი **ე. ახვლედიანი**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მ. დუდუჩავა**, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე **გ. ფოფხაძე**, მხატვარი **რ. ბოჭორიშვილი**.

ყრილობის მონაწილეებსა და მათი სახით ქართული სახვითი ხელოვნების ყველა მოღვაწეს გულთბილად მეესალმენენ და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვეს სტუმრებმა: **ბ. ვაიმარნმა** — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის კოლექტივის სახელით, **ი. ლიტოვჩენკომ** — უკრაინის მხატვართა სახელით, **კ. ბოგდანასმა** — ლიტველ მხატვართა სახელით, **ბ. ტომბერგმა** — ესტონეთის მხატვართა სახელით, **ა. პარტიზანიანმა** — ლატვიის მხატვართა სახელით.

გამოაქვეყნეს მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც ყრილობას გამოუგზავნეს მოკავშირე რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა.

საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა სახელით მიესალმა მაიორი **დ. სანკოვი**.

კულტურის ყველა დარგის მოღვაწეთა შემოქმედებითი თანამეგობრობის განმტკიცების საჭიროებაზე ილაპარაკა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავჯდომარემ, სსრ კავშირის არქიტექტურისა და მშენებლობის აკადემიის ნამდვილმა წევრმა **ა. ქურდიანმა**, რომელიც მეესალმა ყრილობას საქართველოს არქიტექტორთა კავშირის სახელით.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა **უ. ჯაფარიძემ**.

ყრილობამ საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

25 იანვარს საქართველოს მხატვართა V ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

(საქდესი).

უკატაკეგენ სამშოგლოს

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ეთერჯეთოვანი კულტურების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა. მანდარინის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 125,7 პროცენტით, ფორთოხლისა — 410,7 პროცენტით, ლიმონისა — 200,3 პროცენტით, ეთერჯეთოვანი კულტურებისა — 101,8 პროცენტით. (საქდესი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ XXI და XXII ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებებით და იმ გრანდიოზული ამოცანებით, რაც საბჭოთა ხალხის წინაშე დასახა სკკპ ახალმა პროგრამამ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, შვიდწლედის მესამე წელს მოიპოვეს შემდგომი წარმატებანი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მისი ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაში.

I. მრეწველობა

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს 1961 წლის გეგმა საძრეწველო წარმოების საერთო მოცულობისა და მეტ წილ ძირითად სახეობათა ნაწარმის მიხედვით.

წლიური გეგმის გადამეტებით წარმოებულია: მარგანეცის მადანი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, ელექტროენერგია, სატვირთო ავტომობილები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ცემენტი, ძალის ქსოვილები, ზედა ტრიკოტაჟი, პიანინოები და როიალები, მარგარინის ნაწარმი, კონსერვები, საკონდიტრო ნაწარმი, მაკარონის ნაწარმი, ფეხსაცმელი შაქარი, ბაპიროსი და სიგარეტი, ყურძნის ღვინო, შამპანური, სპირტი და სხვა სახეობათა ნაწარმი.

საქართველოს სსრ მრეწველობის მიერ 1961 წლის საერთო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, აქედან მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 103 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში — 102 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში — 105 პროცენტით.

რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1960 წელთან შედარებით 5 პროცენტით გაიზარდა, მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 5 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში — 5 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში — 4 პროცენტით.

შვიდწლედის პირველ სამ წელიწადში რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდა 21 პროცენტით, რაც ბეჯითმა საკონტროლო ციფრების გაანგარიშებაში გათვალისწინებულ დავალებას.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული სახელმწიფო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების საერთო პროდუქციამ 1961 წელს 1960 წელთან შედარებით შეადგინა:

	1961 წელი	პროცენტობით 1960 წლის მიმართ.
შავი მეტალურგია	102	
სპობობის მრეწველობა	101	
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	99,0	
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	118	
ქიმიური მრეწველობა	111	
საშენ მასალათა მრეწველობა	113	
სატყეო, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობა	110	
მსუბუქი მრეწველობა	108	
აქედან საფეიქრო მრეწველობა	108	
კვების მრეწველობა	100,4	
აქედან:		
ხორცის მრეწველობა	98	
კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	102	
მეღვინეობა	96	
ჩაის მრეწველობა	101	
თამბაქოს მრეწველობა	98	

საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა იმ სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც განლაგებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეასრულეს 102 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე — 103 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — 105 პროცენტით, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე — 104 პროცენტით.

1960 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შეადგინა 5 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 3 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 21 პროცენტი, ქალაქ თბილისში — 8 პროცენტი.

მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1961 წლის გეგმის შესრულება და წარმოების საერთო მოცულობის ზრდა 1960 წელთან შედარებით სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1961 წლის გეგმის შესრულება პროცენტი.	1961 წელი 1960 პროცენტობით მიმართ.
სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა	102	105
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	103	105
მანქანათმშენებლო მრეწველობის სამმართველო	104	110
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	102	138
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	104	99,2
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	103	109
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	103	111
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	103	108
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	100,7	102
ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო	95	99,2
პიოტრის მარგანეცის ტრესტი	103	95
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	103	93
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	108	108
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	104	91
საქართველოს შახტმშენის ტრესტი	109	114
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	106	104
საქართველოს ნავთობის ტრესტი	107	95
საქართველოს ჩაის ტრესტი	99	101
სამტრესტი	101	97
საქართველოს კონსერვტრესტი	110	119
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	105	105
საქართველოს მცენარეული ცხიმისა და ეთეროვანი ზეთის ტრესტი	97	95
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	104	98
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	105	106
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	104	110

მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია, მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა საერთო რიცხვიდან წლიური გეგმა ვერ შეასრულა 102 საწარმომ, ანუ 19 პროცენტმა. ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 28,7 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა შეასრულეს 108 პროცენტით, აქედან სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებმა — 136 პროცენტით, სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს საწარმოებმა — 128 პროცენტით, დამზადებათა სამინისტროს საწარმოებმა — 109 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა — 109 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოებმა — 109 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს საწარმოებმა — 107 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა — 105 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებმა — 102 პროცენტით, კულტურის სამინისტროს საწარმოებმა — 99,8 პროცენტით, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საწარმოებმა — 97 პროცენტით, განათლების სამინისტროს საწარმოებმა — 94 პროცენტით და სხვ.

თუმცა ადგილობრივი საბჭოების მრეწველობის ხაზით საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ წლიური გეგმა ვერ შეასრულეს აბაშის, ადიგენის, ბოგდანოვკის, ვანის, დუშეთის, ზესტაფონის, ყაზბეგის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიის, საჩხერის, თეძოლოს, თეთრი წყაროს, ხობის, ცაგერის, წულუკიძის, ჩოხატაურის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატებმა და ქალაქ ფოთის სამრეწველო კომბინატმა. ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 2,1 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტმა წილმა საწარმოებმა შეასრულეს თუჯისა და ფოლადის სხმულის, აგრეთვე ნატვიფრის საოსტეკოკომორისო კოოპერირებული მიწოდების გეგმა. მაგრამ ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ ვერ შეასრულა უკრაინის სსრ კრემენჩუგის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის ნატვიფრის მიწოდების გეგმა.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოხატულებით მთლიანად რესპუბლიკაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1961 წლის გეგმა	1961 წელი	1961 წელი პროცენტობით 1960 წლის მიმართ.
თუჯი — ათასი ტონა	732		101
ფოლადი — ათასი ტონა	1168		103
ნაგლინი — ათასი ტონა	879		107
ფოლადის მილები — ათასი ტონა	360		108
მარგანეცის მადანი			93
ქვანახშირი — ათასი ტონა	2672		94
მთლიანი კოქსი — ათასი ტონა	605		86
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატ-საათი	3598		100,4
მინერალური სასუქები — ათასი ტონა	301		122
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	120		138
სატვირთო ავტომობილები — ცალი	6097		99,0
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	3896		104
კოშტრა ამწეები — ცალი	100		109
ელექტროკარები — ცალი	1582		146
სასოფლო-სამეურნეო მანქანები (სათადარიგო ნაწილების გარდა) — ათასი მანეთი	1321		86
ცემენტი — ათასი ტონა	1303		104
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	54		120
აგური (გარდა დამხმარე საწარმოთა და კოლმეურნეობათა წარმოებისა) — მილიონი ცალი	359		108
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	344		144
ქაღალდი — ათასი ტონა	33		103
ავეჯი — მილიონი მანეთი	19,5		118
ბამბის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	53		107
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	19,4		100,2
შალის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	5,1		103
წინდები — მილიონი წყვილი	8,2		100,1
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	8,5		99,1
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	3,0		113
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	10,7		100,0
პიანინოები და როიალები — ცალი	3643		120
თევზქონერვა — ათასი ტონა	6,2		91
ხორცი პირველი კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით (საძრეწველო გამომუშავება კოოპერაციული მრეწველობის საწარმოთა გარდა) — ათასი ტონა	26,9		91
ერბო-კარაქი (კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის შინაწარმოების გარდა) — ათასი ტონა	1,0		95
ყველი — ათასი ტონა	8,1		96
მარგარინეს ნაწარმი — ათასი ტონა	10,7		95

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მილოცვა სირიის პრემიერ-მინისტრს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მაარუფ დავალიბის გაუგზავნა მილოცვა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ასკლასთან დაკავშირებით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა იმედი გამოთქვა, რომ სსრ კავშირისა და სირიის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ყოველთვის შეესაბამებოდა ორივე ხალხის ინტერესებს, კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება.

საპასუხო დეპეშაში ბ-ნმა მაარუფ დავალიბიმ მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს მილოცვისათვის და აყვავება უსურვა საბჭოთა ხალხს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობა 1962 წელს

1962 წლის 15-23 იანვარს მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის გეგმის შესახებ.

მოლაპარაკების მსვლელობაში შეაჯამეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1961 წლის კულტურული თანამშრომლობის შედეგები, მეამუშავეს და ხელი მოაწერეს 1962 წლის კულტურული თანამშრომლობის გეგმას.

გეგმით გათვალისწინებულია მსახიობთა, მუსიკოსთა კოლექტივების, თეატრალური მოღვაწეებისა და სხვა შემოქმედებითი მუშაკების გაცვლა. გაგრძელდება აგრეთვე თანამშრომლობა უმაღლესი განათლების, სწავლის, რადიოს, ტელევიზიისა და სპორტის დარგში.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ტრადიციული მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ სოფლის მოწინავე მშრომელებს. არ გეგონოთ, რომ ისინ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს

ბიბლიოთეკა

(დასასრული)

კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	143	121
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	17,1	96
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა	12,5	103
ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა	8,8	114
ფხვნილი შაქარი — ათასი ტონა	56,2	108
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	14,1	99,1
ყურძნის ღვინო — მილიონი დეკალიტრი	5,6	76
შამპანური — მილიონი ბოთლი	6,8	103
საპონი — ათასი ტონა	13,6	99,8

1961 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება. 1960 წელთან შედარებით წარმოებულია მეტი: თუჯი — 10,6 ათასი ტონა, ფოლადი — 37,5 ათასი ტონა, ნაგლინი — 58,6 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 26,2 ათასი ტონა, ელექტროენერგია — 16 მილიონი კილოვატ-საათი, ლითონსაჭრელი ჩარხები — 155 ცალი, სახარატო ჩარხები (გარდა ავტომატებისა და ნახევრადავტომატებისა) — 141 ცალი, სახეხი ჩარხები — 53 ცალი, გადიდებული სიზუსტის (პრეციზიული) ჩარხები — 101 ცალი, ავტომატიზაციის საშუალებათა ხელსაწყოები და მათი სათადარიგო ნაწილები — 410 ათასი მანეთისა, ტრაქტორის კულტივატორები — 202 ცალი და სხვ.

გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. 1960 წელთან შედარებით წარმოებულია მეტი: ბამბის ქსოვილები — 3459 ათასი კვადრატული მეტრი, შალის ქსოვილები — 154 ათასი კვადრატული მეტრი, აბრეშუმის ქსოვილები — 47 ათასი კვადრატული მეტრი, წინდები — 10 ათასი წყვილი და სხვ.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გაუწიეს იმისათვის, რომ დაენერგათ ახალი ტექნიკა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარების, მაღალი წარმადობის მოწყობილობისა და მასალების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და მოკმედი ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის ბაზაზე. 1961 წელს რესპუბლიკის საწარმოებმა ათვისეს ოცზე მეტი ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოება, მათ შორის სმ-571 ცხავი, პედ-35 ტიპის ჩასაყვანი ზეთგამყვები ელექტროძრავი, კონსეტერ როტორიანი ელექტროძრავი, ელექტროძრავი მაგიდის ვენტილატორებისათვის, ლოკომოტივის სლ-2-მ ტიპის სიჩქარსაზომი, სითბურ რელიანი ამამუშავებელი, ომპ-59 ტიპის ონდულატორი, სპეციალური მრგვალ სახეხი ჩარხები 3110 მ ჩარხის ბაზაზე, ჩაის ბუჩქის შპალერულად სასხლეთი აპარატი, ყურძნის საწური შნეკური წნეხი და სხვ.

ახალი ტექნიკის განვითარებისა და წარმოებაში დანერგვის საქმეში შემოქმედებით მონაწილეობას იღებდნენ გამომგონებელები და რაციონალიზატორები. გასულ წელს 12 ათასზე მეტმა გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა შეიტანა დაახლოებით 23 ათასი წინადადება, რომელთა მიზანია წარმოების სრულყოფა. სახალხო მეურნეობაში დაინერგა 12 ათასზე მეტი წინადადება, რაც იძლევა დაახლოებით 14 მილიონ მანეთ ეკონომიას წელიწადზე გაანგარიშებით.

შრომის ნაყოფიერების წლიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში შესრულებულია. წინა წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ 1,7 პროცენტი შეადგინა.

1961 წლისათვის დადგენილი გეგმა ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე ხარჯების შემცირებისა სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებსა შეასრულეს. მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ზეგეგმითმა ეკონომიამ, წინასწარი მონაცემებით, 3,7 მილიონი მანეთი შეადგინა.

II. სოფლის მეურნეობა

1961 წლის მოსავლის საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესმა ფართობმა შეადგინა 778 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 674 ათასი ჰექტარი.

1961 წელს 1960 წელთან შედარებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა სამარცვლე სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის ფართობები.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესეს 6,5 ათასი ჰექტარით მეტი სიმინდი, გიდრე 1960 წელს.

ხანგრძლივი და ძლიერი გვალვის გამო მეტი წილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პირობები 1961 წელს მეტად არახელსაყრელი იყო, რის შედეგადაც შემოდგომის ნათესების ნაწილი დაიღუპა.

საშემოდგომო თესვის გეგმა 1961 წელს კოლმეურნეობებმა შეასრულეს — 106 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებმა — 101 პროცენტით. არ შესრულებულა მზრალად ხვნის გეგმა.

უხეში საკვების დამზადების გეგმა გვალვის გამო არ შესრულებულა. სილოსის დამზადების გეგმა საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს 106 პროცენტით.

ტრაქტორებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა პირობით ხვნაზე გადაყვანით შეადგენდა 2.587 ათას ჰექტარს 1960 წლის 2.489 ათასი ჰექტარის ნაცვლად.

1961 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 3.468 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 3.152 ჰექტარი ვენახები, 1.292 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 396 ჰექტარი ციტრუსები და 422 ჰექტარი დაფნა, მაგრამ ამ ნარგავთა გაშენების გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

1961 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე ხილის, ციტრუსებისა და დაფნის ფოთლის შესყიდვის გეგმა.

მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა 1961 წელს 1960 წელთან შედარებით შეადგენდა:

	ათასი ტონა 1960 წელს	1961 წელს	1961 წელი პროცენტებით 1960 წლის მიმართ
ყურძენი	92,6	141,6	153
თესლოვანი და კურკოვანი ხილი	94,3	104,3	110
მათ შორის სტანდარტული	80,5	84,8	105
კარტოფილი	13,7	15,2	111
თამბაქო	13,2	14,3	108
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	156,8	154,6	99

პირუტყვის სულადობამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში შეადგინა:

	წლის დამლევს ათასი სული 1953 წელს	1961 წელს (წინასწარი)	1961 წელი პროცენტებით 1953 წლის მიმართ
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1373	1456	106
აქედან ძროხა	456	579	127
ღორი	520	540	104
ცხვარი და თხა	2503	2075	83

1953 წელთან შედარებით ყველა კატეგორიის მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 83 ათასი სულით, ძროხისა — 123 ათასით, ღორისა — 20 ათასით. ცხვრისა და თხის სულადობა ჯერ კიდევ არ არის აყვანილი 1953 წლის დონემდე. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძროხის სულადობა გადიდდა 20 ათასი სულით და ღორისა—124 ათასი სულით. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის სულადობა შემცირდა.

ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა, გარდა ცხვრისა, 1961 წელს 1960 წელთან შედარებით ყველა კატეგორიის მეურნეობებში შემცირდა.

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგენდა:

	1953 წელს	1961 წელს (წინასწარი)	1961 წელი პროცენტებით 1953 წლის მიმართ
ხორცი და ქონი (დაკლული წონით) — ათასი ტონა	73	82	112
რძე — ათასი ტონა	334	470	141
კვერცხი — მილიონი ცალი	180	240	133

1953 წელთან შედარებით ხორცის წარმოება გადიდდა 9 ათასი ტონით, რძისა — 136 ათასი ტონით და კვერცხისა — 60 მილიონი ცალით. 1960 წელთან შედარებით კვერცხის წარმოება გადიდდა 19 მილიონი ცალით, ხოლო ხორცისა და რძის წარმოება რამდენადმე შემცირდა.

ერთი ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1961 წელს შეადგენდა 1.118 კილოგრამს 1953 წლის 503 კილოგრამის ნაცვლად, ანუ 2,2-ჯერ მეტს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1961 წელს გაასუქეს 85 ათასი სული ღორი. ღორის გასუქების გეგმა არ შესრულებულა.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა 1961 წელს 1953 წელთან შედარებით შეადგენდა:

	1953 წელს	1961 წელს	1961 წელი პროცენტებით 1953 წლის მიმართ
ყველა კატეგორიის მეურნეობები			
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონით) — ათასი ტონა	32,9	54,7	166
რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით) — ათასი ტონა	60,7	133,0	219
კვერცხი — მილიონი ცალი	15,0	57,1	3,8-ჯერ
კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები			
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონით) — ათასი ტონა	25,2	37,9	150
რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით) — ათასი ტონა	42,6	127,2	299
კვერცხი — მილიონი ცალი	7,6	36,2	4,8-ჯერ

1960 წელთან შედარებით რძის სახელმწიფო შესყიდვა გადიდდა 700 ტონით, მატყლისა — 101 ტონით, ხოლო პირუტყვისა და კვერცხის შესყიდვა რამდენადმე შემცირდა.

III. კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა (გარდა კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდებებისა) რესპუბლიკაში 1961 წელს შეადგენდა 395 მილიონ მანეთს. 1960 წელთან შედარებით კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 8 პროცენტით გადიდდა. დიდი ოღენობით ხორციელდებოდა ავრეთვე კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდებანი.

მთლიანად რესპუბლიკაში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებანი შეადგენდა 320 მილიონ მანეთს და 1960 წელთან შედარებით 15 პროცენტით გადიდდა.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში 1960 წელთან შედარებით გადიდდა 8 პროცენტით. კაპიტალდაბანდებათა ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა იყო ქიმიურ მრეწველობაში (66 პროცენტი) და ფერად მეტალურგიაში (154 პროცენტი).

კაპიტალდაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება და საერთო მოცულობის ზრდა, სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1961 წლის შესრულების პროცენტი		გეგმის 1961 წელი პროცენტობით 1960 წლის მიმართ	
	კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობისა	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა	კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობისა	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში — სულ	93	98	112	108
აქედან:				
სახალხო მეურნეობის საბჭო	86	94	106	102
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამართველო	74	89	127	135
მანქანათმშენებელი მრეწველობის სამმართველო	81	94	98	96
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებლო მრეწველობის სამმართველო	92	92	91	78
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	92	122	67	71
სამენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	82	75	102	97
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	98	99	98	84
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	95	98	205	148
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	79	92	114	148
ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო	100,5	105	173	224
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	85	84	97	95
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	97	111	92	100,0
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	97	95	97	97
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა-სამმართველო	98	118	58	59
საქართველოს შახტმშენის ტრესტი	100,3	136	98	60
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	92	95	152	157
საქართველოს ნავთობის ტრესტი	99	80	139	92
საქართველოს ჩაის ტრესტი	117	94	108	90
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	90	107	87	96
რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები	102	100,8	122	115
მშენებლობის სამინისტრო	121	108	92	87
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	99	86	112	110
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	103	117	102	85
დამზადებათა სამინისტრო	99,3	106	5-ჯერ	5,4-ჯერ
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	103	105	171	169
კავშირგაბმულობის სამინისტრო	105	113	132	121
ვაჭრობის სამინისტრო	99,0	100,1	151	154
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	82	83	88	91
განათლების სამინისტრო	96	102	106	102
კულტურის სამინისტრო	100,4	80	83	78
საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო	115	110	155	123
გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	92	116	148	143
ადგილობრივი საბჭოები	101	105	111	112
მთავარბინილისმშენი	108	105	93	103
თბილისის საბჭოს აღმასკომის „ინკმშენის“ ტრესტი	90	80	166	138

გასულ წელს მწყობრში ჩადგა 21 ახალი სამრეწველო საწარმო და 20 საამქრო მოქმედ საწარმოებში. საექსპლოატაციოდ გადაცემულია მთელი რიგი ახალი საწარმოო სიმძლავრენი ქიმიურ მრეწველობაში, საშენ მასალათა მრეწველობასა და სამშენებლო ინდუსტრიაში, კვების მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში; ამუშავდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები; გაფართოვდა სიმძლავრენი მოქმედ საწარმოებში. მაგრამ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების წლიური გეგმა არ შესრულებულა.

რესპუბლიკის მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებმა 1961 წელს საკუთარი ძალებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 1960 წელთან შედარებით გადიდეს 7 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მოიჯარე ორგანიზაციებმა — 19 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოებისა — 10 პროცენტით, მათ შორის თბილისმშენმა — 14 პროცენტით.

1961 წლისათვის დაწესებულ საიჯარო სამუშაოთა მოცულობა რესპუბლიკაში შესრულებულია 96 პროცენტით, გეგმის შესრულებაში ყველაზე მეტად ჩამორჩნენ: წყალთა მეურნეობის სამინისტროს „ალაზანმშენის“ მშენებლობის სამმართველო, რომელმაც წლიური გეგმა შეასრულა 76 პროცენტით, კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო — 78 პროცენტით; მშენებლობის სამინისტროში: ტრესტი № 2 — 82 პროცენტით, ტრესტი № 3 — 88 პროცენტით, ტრესტი № 6 — 83 პროცენტით, ტრესტი № 8 — 81 პროცენტით, ტრესტი № 9 — 78 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველო — 72 პროცენტით და სხვ.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში 4,3 პროცენტით გადიდდა გეგმით გათვალისწინებული 6,7 პროცენტის ნაცვლად.

IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთების დატვირთვის წლიური გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, მათ შორის ქვანახშირისა — 102 პროცენტით, ნავთობისა — 125 პროცენტით, ხე-ტყისა — 122 პროცენტით. ტვირთების საშუალო სადღეღამისო დატვირთვის, აგრეთვე საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის წლიური გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით.

1960 წელთან შედარებით ტვირთების დატვირთვა გადიდდა ერთი პროცენტით, მაშინ როცა გადმოტვირთვა ერთი პროცენტით შემცირდა.

არ შესრულებულა ერთ-ტექნიკურ სადგურში და ერთი სატვირთო ოპერაციისათვის ვაგონების დგომის საშუალო დროის, სატვირთო მატარებლის საშუალო საუბნო სიჩქარისა და სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის წლიური გეგმა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით 1961 წელს გადაზიდულია 50 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთები, ამასთან გაკეთებულია 618 მილიონზე მეტი ტონა-კილომეტრი. 1960 წელთან შედარებით ტვირთზიდვა გადიდდა 4 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 3 პროცენტით. მაგრამ ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის წლიური გეგმა არ შესრულებულა.

1961 წელს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებმა გადაიყვანეს 230 მილიონი მგზავრი, მგზავრბრუნვამ შეადგინა 1.477 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრბრუნვის გეგმა შესრულებულია. 1960 წელთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გადიდდა 11 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 15 პროცენტით. არ არის შესრულებული სატვირთო და მსუბუქი ტაქსომოტორების გამოყენების წლიური გეგმა.

1961 წელს კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელი გადიდდა 5 პროცენტით, გაიხსნა კავშირგაბმულობის 50 ახალი განყოფილება, მათ შორის 36 — სოფლებში. „სოიუზპეჩატის“ კიოსკების ქსელი წლის განმავლობაში გადიდდა 46 ერთეულით, ანუ 11 პროცენტით.

დიდი სამუშაოება შესრულებული საქალაქო ტელეფონის ქსელთა მშენებლობისათვის. 1961 წელს საქალაქო სადგურების სიმძლავრე გადიდდა 9,4 ათასი ნომრით. ავტომატური სადგურების სიმძლავრე, ხელით მომსახურებიდან ავტომატურზე გადასვლის გათვალისწინებით, შეადგენს 11,6 ათას ნომერს. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ავტომატური ტელეფონთა სადგურები 14,4 ათასი ნომრით, აქედან ქალაქ თბილისში — 9 ათასი ნომრით, ქალაქ ქუთაისში — 4 ათასი ნომრით.

კოლმეურნეობათა ტელეფონიზაციის სამუშაო ძირითადად დამთავრებულია. შიდასარაიონო სატელეფონო კავშირგაბმულობის ავტომატური სადგურების სიმძლავრე წლის განმავლობაში 630 ნომრით, ანუ 78 პროცენტით გადიდდა.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულიყო სოფლის მოსახლეობის მომსახურება საფოსტო კავშირგაბმულობით, 1961 წელს მექანიზებულია ათასი კილომეტრი საფოსტო ტრაქტი, 380 საკოლმეურნეო ფოსტალიონი შეცვლილია საუწყებო ფოსტალიონებით. საავიაციო — საფოსტო ტვირთზიდვის მოცულობა 1960 წელთან შედარებით გადიდებულია 44 პროცენტით.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი 1961 წელს შეადგენდა 1.010 ათასს და წლის განმავლობაში გადიდდა 70 ათასი კაცით.

მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვი წლის განმავლობაში გადიდდა 55 ათასით.

სკოლების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-საკვლევი, სამკურნალო, სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა რიცხვი წლის განმავლობაში 9 ათასზე მეტით გადიდდა, ვაჭრობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკების რიცხვი — 5 ათასით.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დამთავრდა მრეწველობის, მშენებლობის, რკინიგზის ტრანსპორტის, საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, გეოლოგიურ სადაზვერვო სამუშაოთა, საგზაო მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის მოწესრიგება.

დაიწყო საქალაქო ელექტროტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება.

1962 წლის დამდეგს შრომის ანაზღაურების ახალი პირობებით მუშაობდა 500 ათასამდე მუშა და მოსამსახურე. ამასთან გადიდდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, განსაკუთრებით მცირეხელფასიანი მუშაკებისა.

1961 წლის 1 ოქტომბრიდან სავსებით შეწყდა 60 მანეთამდე ხელფასზე გადასახადის გადახდევინება და შემცირდა გადასახადის განაკვეთები 61-დან 70 მანეთამდე თვიურ ხელფასზე, რის შედეგადაც გადიდდა ხელფასი, რომელსაც მუშები და მოსამსახურეები ხელზე იღებენ.

1961 წელს მრეწველობამ, მშენებლობამ, ტრანსპორტმა და სოფლის მეურნეობამ მიიღეს 5 ათასზე მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა, რომლებმაც დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლები და სკოლები.

1961 წელს სახელმწიფოს ხარჯზე რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო შარშანდელზე მეტი: მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის დახმარება, სოციალური უზრუნველყოფის პენსიები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარება, უფასოდ და შეღავათიან ფასებში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, სტიპენდიები, უფასო სწავლება და სხვა შეღავათები.

გრძელდებოდა შემდგომი ზრდა მოსახლეობის ანაბრებისა შემნახველ სალაროებში; წლის დამლევს ანაბრებმა შეადგინა 222 მილიონი მანეთი და წლის განმავლობაში გადიდდა 3,4 პროცენტით, ანაბრების რიცხვმა მიაღწია 767 ათასს და წლის განმავლობაში გადიდდა თითქმის 7 ათასით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის (სამომხმარებლო კოოპერაციის სასურსათო საქონლის საკომისიო ვაჭრობის ჩაუთვლელად) საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ შეადგინა 1.232,1 მილიონი მანეთი და 1960 წელთან შედარებით გადიდდა, შესადარ ფასებში, 1,6 პროცენტით. სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვამ, რომელიც ახორციელებს ვაჭრობას სოფლად, შეადგინა 359,4 მილიონი მანეთი და დარჩა 1960 წლის დონეზე. გარდა ამისა, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა მოსახლეობას მიჰყიდეს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან საკომისიოდ მიღებული 20,7 მილიონი მანეთის სასურსათო საქონელი.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა შესრულებულია 97 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობისა — 97 პროცენტით, საზოგადოებრივი კვებისა — 100,2 პროცენტით. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა წლის განმავლობაში გაიზარდა, შესადარ ფასებში, 3,8 პროცენტით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ორგანიზაციებმა საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა შეასრულეს 98 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ორგანიზაციებმა — 94 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა შეასრულეს სავაჭრო ორგანიზაციებმა: აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა — 98 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკისა — 95 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა — 98 პროცენტით, ქალაქ თბილისისა — 97 პროცენტით.

შვიდწლედის პირველი სამი წლის მანძილზე მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა რესპუბლიკაში გადიდდა, შესადარ ფასებში, 20 პროცენტით.

ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაიყიდა 1961 წელს პროცენტებით 1960 წლის მიმართ
ხორცი, ძეხვეული და სხვა ხორცპროდუქტები	104
ერბო-კარაქი	111
მცენარეული ზეთი	109
რძე და რძის პროდუქტები	109
ყველი	115
კვერცხი	93
შაქარი	116
საკონდიტრო ნაწარმი	99,6
კარტოფილი	153
ბოსტნეული	99
ხილი	151
ბამბის ქსოვილები	89
აბრეშუმის ქსოვილები	96
შალის ქსოვილები	111
შეკეთილი ნაწარმი	105
წინდები	94
ტყავის ფეხსაცმელი	110
ავეჯი	109
საკერავი მანქანები	115
საოჯახო მაცივრები	105
მტვერსასრუტები	153
საათები	104
ველოსიპედები, მოტოციკლები და მოტოროლერები	111
რადიოსაქონელი	118
ტელევიზორები	136

მნიშვნელოვანი ოდენობით მიეყიდა მოსახლეობასა და კოლმეურნეებს საწარმოო დანიშნულების საქონელი: სამასალე მერქანი, დახერხილი მასალა, ფანჯრის მინა, ცემენტი, რბილი სახურავი, შიფერი და სხვ.

1961 წელს გრძელდებოდა საქონლის გაყიდვა ნისიად, ნაწილ-ნაწილ გადახდევინებით. წლის განმავლობაში ნისიად გაყიდული საქონლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 2,5 მილიონი მანეთი. საქონელბრუნვის ერთგვარი ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება. ბევრი საწარმო ჯერ კიდევ არ უთმობს სათანადო ყურადღებას ნაწარმის გამოშვებას დაგეგმილი ასორტიმენტით. მთელ რიგ შემთხვევებში გრძელდება დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, რომელზეც არ არის მოთხოვნილება. რაც ზიანს აყენებს მოსახლეობის მომარაგებას სამრეწველო საქონლით და საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას.

შემდგომი წარმატებებია მიღწეული სახალხო განათლების, მიცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში.

1961-62 სასწავლო წელს ყველა სახეობის სწავლება რესპუბლიკაში მოიცავდა 845 ათასზე მეტ კაცს.

„ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების“ კანონის შესაბამისად, რესპუბლიკაში გრძელდებოდა მუშაობა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნისათვის.

მოსწავლეთა რიცხვი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში, მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, მიმდინარე სასწავლო წელს შეადგენდა 747 ათას კაცს და წინა სასწავლო წელთან შედარებით გადიდდა 44 ათასით, ანუ 6 პროცენტით. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა დაახლოებით 40 ათასი შეადგინა.

გასულ სასწავლო წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 22,4 ათასმა კაცმა, მათგან 6,2 ათასმა კაცმა საშუალო განათლება მიიღო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

მიმდინარე სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საწარმოო სწავლებას გადის 38,8 ათასი კაცი, ანუ 130 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ სასწავლო წელს.

სკოლა-ინტერნატებში 1961-1962 სასწავლო წლის დასაწყისში სწავლობდა 15,8 ათასი მოსწავლე.

რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ, მათ შორის დაუსწრებელ და საღამოს სასწავლებლებში 88,6 ათასი კაცი სწავლობს.

შემდგომ განვითარდა დაუსწრებელი და საღამოს განათლება. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლეს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში მოსწავლე პირთა რიცხვმა შეადგინა 83,6 ათასი კაცი, აქედან უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 44 ათასი.

უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე მიღებულ სტუდენტთა 60 პროცენტს შეადგენენ პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სულ ცოტა ორი წლის მუშაობის პრაქტიკული სტაჟი.

უმაღლესმა, მათ შორის დაუსწრებელმა, სასწავლებლებმა გასულ სასწავლო წელს გამოუშვეს 7,6 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი, საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა — 6,6 ათასი.

1961 წელს შემდგომ გაუმჯობესდა მოსახლეობის მომსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. რესპუბლიკის კინოსტუდიებმა გამოუშვეს 76 ახალი ფილმი, აქედან 8 სრულმეტრაჟიანი, 19 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმი და 49 კინოჟურნალი და ორგანიზაციების დაკვეთით გადაღებული ფილმი.

კულტურის სამინისტროს კინოდანადგარების რაოდენობამ 1961 წლის ბოლოს შეადგინა 1.112, კინოსეანსების მაყურებელთა რიცხვმა — 37 მილიონზე მეტი.

წლის განმავლობაში თეატრების სპექტაკლებსა და მუსიკალური კოლექტივების კონცერტებს დაესწრო 5,7 მილიონზე მეტი კაცი.

გაიზარდა მასობრივ ბიბლიოთეკათა და საკლუბო დაწესებულებათა ქსელი. კულტურის სამინისტროს სისტემაში 2.604

აი, ვის უნდა მივბაძოთ

სოფელ შრომის მესიმინდეთა გამოცდილება

ძმადნაფიცები

გაზაფხულზე, როცა მთებში თოვლი დნება და კვირტები იშლება, ჩვეულებრივად წყნარი სუფსა ძალას იკრებს და კალაპოტიდან ნაპირებზე გადადის. მდორედ მიადგაფუნებს იგი მოყვითალო ტალღებს და მისი შეჩერება მაშინ არავის და არაფერს არ ძალუძს. მოდის და მოიმღერის იგი მთასა და ბარში. ეს სიმღერა ზოგჯერ კრიმანჭულს ჰგავს, ახლა-თუ-ახლა-თუ-ზარივით წკრიალას, ზოგჯერ კი — ვაჟკაცურ ბანს, ურომლისოდაც არ არსებობს გურული სიმღერა.

ასეთია სუფსა გაზაფხულზე. მაგრამ არანაკლებ ძლიერია იგი წელიწადის სხვა დროსაც. რაც მთავარია, სუფსას დიდი სიკეთე მოაქვს ხალხისათვის. როგორც სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა მიხაკო ორაგველიძემ გვითხრა — სუფსის ჭალები ნილოსისას არ ჩამოუვარდება ნოყიერებით. აბა ნახეთ კოკათის, გორის, ხორეთის, ქვაბისოფლის, ბოედნის, ჩქუნის, უნაგერას, ოკარტეს, ნაოდვარის, უთუმის, შუაჭალის, ნიგვზიანისა და ჯვარსასრეს მინდვრები, და თქვენ თვითონ დარწმუნდებით ნათქვამის სიმართლეში.

შარშან სუფსის ტალღებმა ნოყიერ ლამთან ერთად მთებიდან ახალი ამბავი ჩამოიტანა. მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის წევრს, ცნობილ მესიმინდეს კალისტე ანდღულაძეს ერთ ჰექტარ ფართობზე, რომელიც სუფსის ჭალებშია, ასარმოცდაათი ცენტნერი სიმინდი მიუღიაო.

ამ ამბავმა შრომაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მთელ რესპუბლიკაში იცან, რომ მახარაძელებს ჩაისა და ციტრუსების მოვლა-პატრონობაში ვერავინ სჯობნის, მაგრამ ბევრს მესიმინდეობაში ბედი არ ეცადა. მართალია, მეურნეობის ამ დარგშიც კაშკამებდნენ შუქურები, მაგრამ ისინი კალისტე ანდღულაძესავით ერთეულები იყვნენ.

შრომაში თავისი საქმის პროფესორს ეძახიან სოლომონ ქარჩავას, და ამაში გადაჭარბებული არაფერია. მაღალი, ლამაზი სახისა და კეთილი ღიმილის კაცია სოლომონი და, როცა იგი სათვალეს გაიკეთებს და სიმინდზე საუბარს დაგიწყებთ, დარწმუნდებით, რომ ის ნამდვილად „მინდვრის ღიღოფლის“ დარგის სწავლულია, იმ განსხვავებით, რომ საშეცნიერო ხარისხი და დიპლომი არა აქვს.

ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ სოლომონმა სუფსის ნაპირებზე სიმინდის სარეკორდო მოსავალი მიიღო და სოციალისტური შრომის გმირის წოდება დაიმსახურა. მას შემდეგ მცირე დრომ როდი განვლო, სოლომონს თმა შეეღარცხლა, მაგრამ ახალგაზრდული ხალისი და ენერგია ჯერაც არ ღალატობს მას.

დიახსს ფიქრობდა სოლომონ ქარჩავა ძმითელი კალისტე ანდღულაძის მაგალითზე. კალისტე ხომ იმავე სუფსის ნაპირას შრომობს, სადაც ჩვენ და რაც შეძლო მან, ყველას შეუძლია მისი გაკეთება. ბრიგადაში ოცდაათი კაცია, და თვითეული ჩვენგანი მოწინავე მეჩაიეც არის და მეციტრუსეც. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია თვითეულმა დამატებით თითო ჰექტარი სიმინდი მაინც დავამუშაოთ... დასაკვნა სოლომონმა.

თავისი აზრი სოლომონმა ბრიგადის ხელმძღვანელს პარმენ კურტანიძეს გაუზიარა. მერე პარმენმა ეს ამბავი მიხაკო ორაგველიძისა და პარტბიუროს მდივანს კუკური ჩანჩიბაძეს გაუმხილა. მალე ორმეთში, სადაც კურტანიძის ბრიგადაა განლაგებული, ოცდაათი კაცი შეიკრიბა.

მიხაკო ორაგველიძემ ასე დაგვიხატა ამ კრების სურათი:

...ადგა ბრიგადირი, თავზე რატომღაც ყაბალახი გაისწორა, ჩაახველა და თქვა:

— მეათე ბრიგადაში ოცდაათი კაცი ვართ, დავთესოთ ოცდაათი ჰექტარი სიმინდი, ეს ხელს არ შეგვიშლის ჩაისა და ციტრუსების უხვი მოსავლის მოყვანაში.

— ბევრის დათესვა კარგია, მაგრამ მთავარია რას მოვიყვანთ, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— რას მოვიყვანთ და სიმინდს, — წამოიძახა შარო კიზირიამ.

— ნუ ჩქარობ, ძამა, — შეუტია ლეგარსი ქარჩავამ, — სიმინდს რომ მოვიყვანთ, ეს ყველამ ვიცით, აბა შაქარი როდის მოსულა სუფსის ნაპირზე, მზოლოდ საქმე ის არის, რამდენი იქნება ეს სიმინდი, რა ვალდებულება უნდა ავიღოთ, სირცხვილი რომ არ ვქამოთ, გიგე, ძამა?

— ნება მომეცი, ბრიგადირო, — ითხოვა სიტყვა პარტჯგუფორგმა ერმილე გრიგომა. — ისე ვიმეშაოთ, — თქვა მან, — რომ ერთ ჰექტარზე მივიღოთ არანაკლებ 60 ცენტნერისა.

— კარგია, კარგი! მოვხუცდი კაცი. 70 წელს მივაღწიე, მაგრამ მზად ვარ ავიღო ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესი, რომელზეც მოვიყვან 60 ცენტნერ მოსავალს, — თქვა ჭაღარა ანტონ სირაძემ.

— გადაირია ბერიკაცი.. თუ იცის ნეტავი, რამდენია სამოცი ცენტნერი? — თავისთვის ჩაილაპარაკა სიმონ ბუსხრიკიძემ.

— ბიჭო, არ გაგიგია, კალისტე ანდღულაძეს ჰექტარზე 150 ცენტერი მოუყვანია, იგიც სუფსის ნაპირას არ შრომობს?

— მერე შენ იცი, ვინ არის კალისტე? — შეუტია გულმოსულმა ამირან ქარჩავამ.

— ვინ არის, ვინ? — ჩაერია ლადიკო სირაძე.

— იგი შუქურაა, ძამა, იმას შენ რას უყურებ.

— მერე რა მოხდა, შუქურა რომ არის. შენ დამერა ხომ არა ხარ. ეერთგულე სიმინდს და შენც შუქურა გახდები. ძიმითში თუ ერთი შუქურაა, ჩვენ ბრიგადაში ოცდაათი შუქურა ვიქნებით, აბა!

— ჰო, ჰო, ჰა, სიმინდის ხვავიც მაშინ ნახე, — აღტაცებით წამოიძახეს ვასომ, ნიკომ, დომენტიმ, ალიოშამ, ტერენტომ, ამირანმა, გრამატომ და სხვებმა.

ასე დაიდო საქვეყნო ფიცი ოცდაათ ძმას შორის. მალე სუფსის ნაპირას, სოფელ ორმეთის ჭალაში აღიმართა ვალდებულებების დაფა ლამაზი წარწერით. „ოცდაათი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე სამოცი ცენტნერი მარცვლად“.

ეს იყო გასული წლის ზამთარში.

სოლომონ ქარჩავა მაინც თავის საქმეზე ფიქრობდა. საჭირო იყო გაზაფხულის დადგომამდე ბრიგადის ყველა წევრი დაუფლებოდა სიმინდის მოყვანის აგროტექნიკას, ამ მიზნით ბრიგადაში ჩამოყალიბდა მოწინავეთა სკოლა. სახალხო გამოცდილების ამ პატარა უნივერსიტეტის „რექტორი“ და პირველი „პროფესორი“ თვითონ სოლომონი გახლდათ.

წვიმიან დღეებში, როცა მინდვრად სამუშაო არ იყო, ორმეთის კლუბში ზირად ნახავდი ოცდაათ ძმადნაფიცს. ისინი აქ კრებაზე კი არ მოდიოდნენ, არამედ პრაქტიკული გამოცდილების სკოლის მორიგ მეცადინეობაზე.

ახალი საგმირო საქმეებისათვის დაირაზმნენ შრომის კოლმეურნეობის წევრები, — მოვაწყოთ ლაშქრობა დიდი სიმინდისათვის, — მოუწოდებდა კოლმეურნეებს მრავალტირაჟიანი გაზეთი „მეგობრობის დროშა“. შრომაში არ დარჩენილა კაცი, სიმინდის ნაკვეთი რომ არ აეღოს. ვინ მოთვლის, რამდენი საქმე აქვს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მაგრამ მიხაკო ორაგველიძემ სიმინდის კარგა მოზრდილი ნაკვეთი დაამუშავა და ჰექტარზე განაგარიშებით 58 ცენტნერი მარცვალი მოიყვანა.

სიმინდის კარგი მოსავალი მიიღეს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი იობიშვილმა, ბუხჰალტერმა შოთა მუსელიანმა, საშუალო სკოლის დირექტორმა რეზო ჩხაიძემ, ექიმმა ხაშა ორბელაძემ და სხვებმა.

დავუბრუნდეთ ძმადნაფიცებს, სოლომონ ქარჩავამ და მისმა მეგობრებმა ცოტა ენერგია როდი დახარჯეს, რომ საუკეთესოდ მოემზადებინათ ნიადაგი სიმინდის დასათესად. სანამ თოვლი მოვიდოდა, მანამდე მოასწრეს ნიადაგის მოჩოლავა, ყანის კიდურების შესწორება, ნიადაგში ნაკელის შეტანა და მზრალად ხვნა.

ადგა გაზაფხული. აყვავდა მთა და ბარი, მოდიდდა მდინარე სუფსა, ამღერდნენ ჩიტუნები, აყვავებულ ბაღს დაემსგავსა სოფელი შრომა, და ოცდაათმა ძმადნაფიცმაც ჭალებს მიაშურა.

ამინდი ხელს უწყობდა მხვნელ-მთესელებს, მაგრამ ბრიგადის ზოგიერთი წევრი, მიუხედავად წინა სამუშაოების დამთავრებისა, თესვის დაწყებას მაინც არ ჩქარობდა. ვაი თუ წვიმიანი ამინდი დადგეს და თესლი დაგვლპესო.

თავმჯდომარე კი, პირიქით ჩქარობდა: კარგი ამინდები ხელიდან არ გავუშვათ და თესვა დავიწყოთო.

„შეშინდნენ ბიჭები, — ე, კაცო, მიხაკო, ადრეა ჯერ, ნუ დაგვათესინო, — მაგრამ 14 აპრილს სიმინდი მაინც დათესა.

კარგიც ქნეს, რომ დათესეს. ამინდმა იმედი გაამართლა. ერთმანეთს მიჰყვა თბილი, მზიანი და უქარო დღეები, ნელ-ნელა ამოიწვერა სიმინდის პატარა, ჯერ კიდევ უსუსური ღეროები.

როგორც დედა ელოლიავება თავის პირმშოს, ისე ესიყვარულებოდნენ ძმადნაფიცები თავიანთი შრომის ნაყოფს, და არა მარტო ეალერსებოდნენ ახლადამოწვერილ სიმინდს, არამედ შეელევითაც უელიდნენ. გაუმართლდათ ორმეთელებს ერთგული შრომა. როცა მათ ყანებში ბუყნტლი სიმინდი შემოვიდა, სხვების ყანებს ჯერ ტაროც არ გამოეღო. ორი კულტივაცია, ოთხჯერ გათოხნა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიება არ დაიშურეს ადამიანებმა, რომ მათ ყანებს ტანი აეყარა, რომ ვაკაცური ულვაშებით დაემშვენებინა თავისი თავი და ოქროკბილებიანი ტაროებით დახუნძლულიყო.

ასეც მოხდა.

25 ივნისს ბრიგადის წევრები ცხენებს მოატენენ და ყანებისაკენ მოკურცხლეს. იმ დღეს მათ ფოტორეპორტიორი ესტუმრათ. ბიჭებს სურდათ ფოტოფირზე აღებეჭდათ თავიანთი შრომის ნაყოფი. კოლმეურნეობის გამგეობაში ინახება ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია საინტერესო მომენტი, ორმეთელებს ყანაში დგანან ჩხენოსნები, რომლებსაც სიმინდი ფარავს. ერთი შეხედვით ყანა ულრან დიდუბალ ტყეს ჰგავს, სწორედ ისეთს, ბახმაროს ფერდობებს რომ ამშვენებს.

პავლე სირაძემ ბრიგადირს შესჩივლა:

— ჩვენი ვალდებულება შესაცვლელია. თვითეულ ჰექტარზე სამოცის ნაცვლად ასზე მეტი ცენტნერს მოგვცემს, ერთი სიტყვით, ჯადაირია, ძმაო, ყანები.

სწორედ მაშინ დაიბადა ფრთიანი სიტყვები:

— ვიკისრეთ სამოცი — იქნება ასი!—

ძმადნაფიცებთან ზშირად ჩაირბენდა ხოლმე სოფელ შრომის კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი რომან ცეცლაძე. ეს ახალგაზრდა ყოველთვის ესიამოვნებოდათ შრომაში გართულ მეგობრებს. ი რას წერდა ოცდაათი ძმადნაფიცის შესახებ ალოობის იმ დღეებში გაზეთი „მეგობრობის დროშა“:

— რა შეაჩერებს მათ წინსვლას, ვისაც ასეთი ნათელი მიზანი, ასე მოუღლელი მარჯვენა და უსაზღვრო ენერგია აქვს. ასე მეუჩერებლად იარეთ წინ, მეათე ბრიგადის ოცდაათო შუქურავ!

შუქურებიო? — გაუკვირდათ ძმადნაფიცებს. ჯერ მოსავალი აღებული არ იყო, და ამიტომ ნაადრევად მიაჩნდათ შუქურის მაღალი წოდება. გულში კი გრძნობდნენ, რომ გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯიღა იყო.

კოლმეურნეები თავდადებულად შრომობდნენ, რომ პირნათელნი ყოფილიყვნენ მეურნეობის ძირითად დარგებშიც, როგორიც არის ჩაი და ციტრუსები. ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის გეგმები. დასახული გეგმები შესრულდა და როგორ შეიძლებოდა ჩამორჩენილიყვნენ ოქროკბილება სიმინდის წარმოებაში.

დადგა შემოდგომა.

ოქროს ფერი მიიღო სიმინდის ყანებმაც. დაიწყო მოსავლის აღების სასიხარულო დღეები, ავგუგნდა ავტომანქანები, აჭრიალდა ურმები, ბრიგადის კარმიდამოში 26 ათასი ცენტნერი სიმინდი დახვავდა.

გაიმარჯვეს!

სამოცი ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე აღებულია სამოცდაჩვიდმეტი, ოცდაათი ძმადნაფიციდან ცხრამ 100 ცენტნერს გადააჭარბა. არც ბრიგადის სხვა წევრებს შეურცხვენიათ თავი. მათ ნაკვეთებზეც დახვავდა ქარვისფერი სიმინდი.

მზიანი დღე იყო შრომაში. მთელ სოფელს გამგეობის შენობის წინ მოედანზე მოეყარა თავი. ყველას სურდა მაღლობის გულითადი სიტყვა ეთქვა სახელოვანი ბრიგადის ყველა წევრისათვის.

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, ამხანაგებო!

გვინდა ეს წერილი დავამთავროთ თქვენივე თავმჯდომარის მიხაკო ორაგველიძის სიტყვებით:

— სუფსავ, გურულების მესაიდუმლე სუფსავ, მუდამ დაღმა რომ მიაქანებ ახალ ამბებს, ერთხელ ზეციოთაც წაიღე. კალისტე მუშაობს თქვენს ნაპირად ჩვენს ზემოთ, მოგვეკითხე, მაღლობა გადაეცი კარგი საქმის დათესვისათვის, უთხარი, ოცდაათი უმცროსი ძმა მოგიდექით გვერდში-თქო.

ასე აინთო ოცდაათი შუქურა შარშან შემოდგომაზე სოფელ შრომაში. ძმადნაფიცები ახლა გაზაფხულისათვის ემზადებიან. მათ იკისრეს: — ყოველ ჰექტარზე სულ მცირე 100 ცენტნერი სიმინდი. მთავარი კი მაინც ჩაი არის. ისინი არც ჩაინი ჩამორჩებიან. ჰექტარზე 6.000 კილოგრამ ჩაის ხარისხოვან ფოთოლს მოკრეფენ.

ძმადნაფიცებს სიტყვის გატეხა არ სჩვეოდათ.

ვ. გოზალიშვილი,
ა. თომაძე.

სურათზე: ტ. ჩხაიძე გამარჯვებას ულოცავს ბრიგადირ პ. კურტანიძეს.

ჩვენს მკითხველებს

ამ გვერდზე მოთავსებულია ქარაჟის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეათე ბრიგადის შრომითს საქმიანობაზე, კოლმეურნეთა ცხოვრებაზე. ამ კოლმეურნეობაში მთავარი დარგი მეჩაიეობაა. კოლმეურნეობის ბევრმა მეჩაიემ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. შრომელებმა გადაწყვიტეს თავი ესახელებინათ მესიმინდეობაშიც. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს. სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაში თავი ისახელა მეათე ბრიგადის ოცდაათმა კოლმეურნემ. ეს ბრიგადა სიმინდის უხვი მოსავლის ნამდვილი სკოლაა, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი მესიმინდე, სოციალისტური შრომის გმირი სოლომონ ქარჩავა.

დაუღალავი მარჯვენით...

რგოლი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, სუფსის ნაპირზე 9,2 ჰექტარ სიმინდის ყანას ამუშავებდა. ჩვენი მასწავლებლის სოლომონ ქარჩავას რჩევა-დარიგებას რგოლის ყველა წევრი უყოყმანოდ ასრულებდა. სანიმუშოდ დავამუშავეთ სიმინდის ყანები, მოვლა-პატრონობა არ დაგვიკლია, ყოველთვის აგროწესების დაცვით ვატარებდით კულტივაციას და თოხნას, შეგვკონდა სასუქები.

შრომა დაგვიფასდა. ვალდებულებით ჰექტარზე 65 ცენტნერი სიმინდი უნდა მიგვეღო. შემოდგომაზე, როცა ჩვენი შრომის შედეგს ვაჯამებდით, სიხარული გვქონდა. ჰექტარი სიმინდის ყანიდან 77 ცენტნერი მარცვალი ავიღეთ და კოლმეურნეობის საწყობში 759 ცენტნერი მარცვალი ჩავაყარეთ. რგოლის მოწინავე მესიმინდეებმა ა. ბუსხრიკიძემ, ა. გაგუამ, ა. სირაძემ და სხვებმა 100 ცენტნერზე მეტი სიმინდი მოიყვანეს.

განა ეს ცოტაა? მაგრამ მიღწეულს არ დავჯერდებით. ჩვენი მასწავლებლის სოლომონ ქარჩავას მაგალითით წელს ჰექტარზე 100 ცენტნერ მოსავალს მოვიყვანთ, ხოლო პირადად მე — 130 ცენტნერს.

ვშრომობთ, ვსწავლობთ და კარგადაც ვიცხოვრობთ, ჩვენი მარჯვენით ვქმნით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ვაშენებთ კომუნიზმს.

შვიდწლედან მეოთხე წელი ჩვენი ახალი გამარჯვებებიდ წელი იქნება. კვლავაც ვისახელებთ თავს ჩაის ფოთლის, ციტრუსებისა და სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანით.

ი. ბუსხრიკიძე,
მერგოლური.

მშრომელი კაცის კარგი საქმის ამბავი სწრაფად მოეფინება ხოლმე სოფელს. ასე იყო ამჯერადაც, შრომის კოლმეურნეობის მეათე ბრიგადის მესიმინდეების გამარჯვების ამბავი მთელ სოფელს კი არა, მახარაძის რაიონსაც ელვის სისწრაფით მოედო. ბრიგადის ყველა კოლმეურნეს გულით ულოცავდნენ გამარჯვებას, მარჯვენას უქებდნენ.

კოლმეურნეობის კანტორის წინ შეხვდა ბრიგადირ პარმენ კურტანიძეს თანასოფელი, ცნობილი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე და გულით მიულოცა მესიმინდეებს გამარჯვება.

* * *

სურათზე: ტ. ჩხაიძე გამარჯვებას ულოცავს ბრიგადირ პ. კურტანიძეს.

სიმინდისათვის ლაშქრობა გრძელდება

1961 წელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ახალ გამარჯვებათა წელი იყო.

გასული წელი დიდმნიშვნელოვანი იყო საქართველოს მშრომელებისათვისაც, კერძოდ კი ჩვენი კოლმეურნეობისა და ბრიგადისთვისაც.

შარშან ჩვენმა ბრიგადამ დიდ წარმატებას მიაღწია შრომაში.

ჩვენი კოლმეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელია. კოლმეურნეობამ სახელი გაითქვა მეჩაიეობით. ყოველწლიურად დიდძალ ჩაის მწვანე ფოთოლს ვაბარებთ სახელმწიფოს. არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, შარშანაც წარმატებას მიაღწიეს კოლმეურნე მეჩაიეებმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.165 ტონისა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 1.170 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ჰექტარზე 4.482 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიყვანეს. ვინ არ იცნობს სახელგანთქმულ მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს ტატიანა ჩხაიძეს, რომელმაც შარშან ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ორმაგად და მეტად შეასრულა. რგოლი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ოთხ ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლიდა. ჰექტარზე 11.767 კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

ჩვენმა ბრიგადამ 20 ჰექტარზე 117,6 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, ნაცვლად 111 ტონისა. ჰექტარზე მიღებულია 5.880 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. როგორც კოლმეურნეობამ, ისე ჩვენმა ბრიგადამაც შარშან ციტრუსების უხვი მოსავალი მიიღო. მარტო ჩვენმა ბრიგადამ გეგმის გარეშე 7 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ჩაბარა სახელმწიფოს.

მესიმინდეობაშიც ჩვენი სიტყვა რომ გვითქვა, შარშან გულდასმით გავეცანით ყვარლის რაიონის მოწინავე მესიმინდეთა რაიონული თათბირის მონაწილეთა მიმართვას, შევისწავლეთ მესიმინდე შუქურების მდიდარი გამოცდილება.

ჩვენი რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის მესიმინდე შუქურას კალისტე ანდღულაძეს ყოველწლიურად სიმინდის დიდი მოსავალი მოჰყავს. მას არ ჩამოუვარდება ჩვენი ბრიგადის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი სოლომონ ქარჩავა. მაგრამ ხომ ნათქვამია, „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“. მარტო ანდღულაძისა და ქარჩავას მიღწევა წვეთია ზღვაში.

საკითხავია, ანდღულაძემ და ქარჩავამ თუ შეძლეს და სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს, რატომ არ შეიძლება წარმატებას მიაღწიოს ყველა მესიმინდემ? ნათქვამია, თუ ერთმა შეძლო— ყველა შეძლებსო. მით უმეტეს, რომ სუფსისპირა მიწები ერთნაირია, მზეც ყველა ნაკვეთზე თანაბრად აცხუნებს და ასევე თანაბრად აწვიმს. საჭიროა მონდომება, შემოქმედებითი შრომა, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში. ერთის წარმატება ასი კაცის წარმატების დედაფუძე უნდა იყოს. აი რა არის მთავარი და გადამწყვეტი.

80 ჰექტარი მიწა მივიზომეთ. შემოდგომაზე მზრალად მოხნული ნიადაგი გაზაფხულზე მსუბუქად გადავხნინთ და სიმინდი დავთესეთ. ოცდაათმა ძმადნაფიცმა პირობა დავდეთ თავი არ შეგვერცხვინა და ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მიგვეღო. ყანას ხელს არ ვაკლებდით. აგროვადებში ჩავატარეთ კულტივაცია, სასუქების შეტანა, თოხნა. ორჯერ ჩავატარეთ კულტივაცია, ოთხჯერ გავთოხნეთ, ხოლო სასუქები საჭიროების მიხედვით შეგვქონდა.

ტანი აიყარა სიმინდმა, რომ იტყვიან, ცხენიანი კაცი დაიმალებაო, მართლაც ასე იყო.

მასწავლებლის ს. ქარჩავას ყოველ მითითებას დროულად ვასრულებდით. ჩვენი აუდიტორია სუფსისპირა სიმინდის ყანები იყო.

შემოდგომა დადგა თუ არა, დაიწყო გამოცდების ჩაბარება. მასწავლებელიც კმაყოფილი დარჩა და მოსწავლეებმაც „ხუთიანებით“ გაავლეს ეს სოფელი, ასახელეს კოლმეურნეობა, რაიონი. ჰექტარზე, ნაცვლად ნაკისრი 60 ცენტნერისა, 77,1 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მივიღეთ. ნათქვამია, მჯობნის მჯობნი არ დაილეგაო. მოწინავეებს შორისაც არიან მოწინავეები. ცხრა კოლმეურნემ ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტი მოსავალი მოიყვანა. მთლიანად კოლმეურნეობაშიც დიდად გაიზარდა სიმინდის მოსავლიანობა. 360 ჰექტარი ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 43,7 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ. 10,7 ცენტნერით გადავაჭარბეთ გეგმით ნავარაუდევს.

მკითხველი იტყვის, ეს ყველაფერი კარგია, მისასალმებელია, ვნახოთ წელს რას იზამთო. ჩვენი სუფსისპირა მიწები კი არ შეცვლილა, ანდა სკოლა კი არ დაგვიხურავს! სწავლა გრძელდება, ლექტორად კვლავ გამოცდილი სოლომონ ქარჩავა გვყავს, აუდიტორიაც იგივეა. პირს არ შევრცხვენთ, რაც შარშან მივიღეთ, იმას აღარ დავჯერდებით. სამშობლო, პარტია უფრო მეტს მოითხოვენ. ჩვენც ვუპასუხებთ — იქნება! ჰექტარზე 77 ცენტნერი აღარ გვაკმაყოფილებს. ეს შარშან იყო. წელს პირობას ვდებთ ჰექტარზე 100 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოვიყვანთო!

სოლომონ ქარჩავას აუდიტორია

არავის ეგონოს ჩვენი მთავარი საზრუნავი ჩაი და ციტრუსები დავივიწყოთ. 20 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან წელს 120 ტონაზე მეტ ჩაის მწვანე ფოთოლს მოკრეფთ. თვითეულ ჰექტარზე 6.000 კილოგრამზე მეტ ჩაის ფოთოლს მივიღებთ. ციტრუსებსაც შარშანდელზე მეტს მოვიყვანთ.

ოცდაათი ძმადნაფიცი კოლმეურნე მესიმინდის სიტყვა ფოლადივით მტკიცეა. უკვე შევუდექით ვალდებულების განაღდებისათვის ბრძოლას. ვსწავლობთ, ვშრომობთ და ასე ვიღებთ კომუნიზმის ახალ-ახალ ზღუდეებს.

ვისაც გული ერჩის, გაგვეჯიბროს. ჩვენ მზად ვართ, მივიღებთ გამოწვევას!

მეათე ბრიგადის წევრების დავალებით:

პარმენ კურტანიძე, ბრიგადირი, **ალექსანდრე ყიფშიძე, ვასო გაგუა, სარიგეგ მელქონიანი, ალექსანდრე ბუსხრიკიძე, სიმონ ბუსხრიკიძე, ვლადიმერ სირაძე.**

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲘᲑᲔᲠᲔᲛᲓᲔ...

სწავლა სიბერემდეო, უთქვამთ ძველებს. ყველაფერი ხომ სწავლითარის. მართალია მოვხუცდი, სამოცდაათ წელიწადს მივუახლოვდი. მაგრამ ახლა ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ უქმად ჯდომა ნამდვილად დანაშაულია. ვინც კომუნიზმის აშენებისათვის არ იბრძვის, ვინც ჩვენი დიდი პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის არ შრომობს, ის ჩვენი ცხოვრებიდან გარიყულია, მოქმახორაა. მოქმახორებს კი ჩვენს ქვეყანაში ადგილი არა აქვთ.

ვამბობდი, სწავლა სიბერემდე-მეთქი. ამ სიბერეში მეც სოლომონ ქარჩავას მესიმინდეთა სკოლაში ჩავედი. მართლაც, რომ ჩვენი სკოლა სუფსისპირა ნოყიერი მიწებია. კარგად გავეცანი ჩვენი მასწავლებლის, ცნობილი მესიმინდის, სოციალისტური შრომის გმირის სოლომონ ქარჩავას შრომითს საქმიანობას, სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის ხერხებს და ოცდაათი ძმის სასახელო საქმეში მეც კარგი წვლილი შეეტანე.

ერთ ჰექტარ სიმინდის ნათესს ვუვლიდი სუფსის პირას, სამმო ყანაში. შრომა არ მიმიკლია ყანისათვის, დროულად ვთოხნიდი, შემქონდა სასუქები და ვატარებდი კულტივაციას. თვითეული ძირი სიმინდის ავკარგი ვიცოდი. ყოველდღე ყანაში ვიყავი და ვპატრონობდი ისე, როგორც ჩვილ ბავშვს. შრომამ უქმად როდი ჩამიარა. როცა ოქტომბერში მოსავალი ავიღეთ, ჩემი ერთი ჰექტარი ნაკვეთიდან კოლმეურნეობის სასიმინდეში 100,6 ცენტნერი დარჩეული მარცვალი მივიტანე, სწორედ გითხრათ, ამან ისე გამახარა, თითქოს ჩვენი ქვეყნისათვის უზარმაზარი საქმე გამეკეთებინოს. თუმცა კაცმა რომ თქვას, არც ეს არის ურიგო საქმე. ყველამ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი რომ გააკეთოს, მაშინ საერთო საქმე სულ წინ იქნება. ჩვენს კოლმეურნეობაში კი საერთო საქმე მართლაც წინ არის.

განა მარტო შარშან ვიშრომეთ კარგად? ჩვენი მარჯვენით ავაშენეთ და დავამშვენეთ სოფელი შრომა. ჩვენს სოფელში არც ერთი კოლმეურნე არ მეგულება, რომელიც კარგად არ ცხოვრობდეს, სხვებს არც მე ჩამბორვრი. კარგი, ბედნიერი ოჯახი მაქვს. მოხუცობაში ჩემი ალალი შრომით ავტომანქანა „ვოლგა“ შეგიძინე. სამუშაოზე საკუთარი ავტომანქანით დავდივარ. ტკბილია ჩვენი ცხოვრება, უფრო ტკბილი იქნება მომავალში. მაგრამ ყველაზე ტკბილი ის არის, რაც შენი ხელით არის შექმნილი. ამიტომ ახალგაზრდებს ვთხოვ ნუ იზარმაცებენ, უფრო ბედნიერი მომავალი ელით. ბედნიერებას კი შრომით, საკუთარი მარჯვენით მოიპოვებენ.

ანტონ სირაძე,
კოლმეურნე.



სურათზე: მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კანტორა.

მეგობრობა...

დიდი ხნის ისტორია აქვს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის და უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრების მეგობრობას.

ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა მეგობრობაზე მოგვეთხრობენ ექსპონატები, რომლებიც გამოფენილია სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეგობრობის მუზეუმში.

ფოტოსურათები, ალბომები, პლაკატები, ძვირფასი საჩუქრები მოგვითხრობენ ძმურ სიყვარულსა და მეგობრობაზე, რაც აკავშირებს ქართველ და უკრაინელ ხალხს.

ერთ-ერთ სტენდზე ვკითხულობთ: „ჩვენ შეგვხვდნენ ქართველები ისე, როგორც ძმა ხვდება ათი წლის უნახავ შვილს. ჩვენს გზას საქართველოში შეიძლება ეწოდოს ყვავილების გზა, სსრ კავშირის ხალხთა შორის არსებული სიყვარულის გზა“. ეს სიტყვები ეკუთვნის უკრაინელთა პირველი დელეგაციის ხელმძღვანელს ლ. პალამარჩუკს. და მართლაც ასეა. უსაზღვრო და მუდმივია მეგობრობა, რომელიც უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეებს შორის არსებობს.

ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐᲡ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐ

სოლიდარობა
რევოლუციურ კუბასთან

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის დამცველთა კომიტეტმა კუბის მშვიდობისა და ხალხთა სუვერენიტეტის დაცვის მორაობის ეროვნულ კომიტეტს გაუგზავნა სოლიდარობის დეპეშა.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი, ნათქვამია დეპეშაში, გულისწყრომით გმობს ამერიკელ იმპერიალისტთა ცდებს გამოიყენონ კუბის რევოლუციის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობისათვის ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია. ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ კუბის საშინაო საქმეებში ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპების დარღვევის წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის საწარმოების, მშრომელთა კოლექტივები საპროტესტო დეპეშებს უგზავნიან პუნტა-დელ-ესტეს თანამრის და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პრაღაში და გმობენ ჩარევას კუბის საშინაო საქმეებში. ასეთი შეხსენიებანი დეპეშები მიიღეს ფაბრიკა „კოხ-ი-ნორის“, ლაბის ტესტის ცხიმეულის ფაბრიკის, მოსტის ქიმიური ქარხნის, ხომუტოვის მეტალურგიული და მილსაგლინავი ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშათა მიტინგებზე.

პრაღაში გაიმართა პრაღის უმაღლესი სასწავლებლების საზღვარგარეთელი სტუდენტებისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის მიტინგი კუბის მხარდასაჭერად.

ნიუ-იორკი. ხელები შორს კუბისაგან. აღიკვეთოს ამერიკის ჩარევა კუბის საქმეებში. ჩვენ მხარს ვუჭერთ კასტროს, თავისუფალ კუბას. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია სახელმწიფო დეპარტამენტის იარაღია. ასეთი ლოზუნგებით ჩაიარა 22 იანვარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან მასობრივმა დემონსტრაციამ, რომელიც მოაწყო კომიტეტმა „გონივრული პოლიტიკისათვის კუბის მიმართ“.

დემონსტრაცია მოეწყო პუნტა-დელ-ესტეში ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის თათბირთან დაკავშირებით. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს სურს აიძულოს ეს თათბირი მიიღოს სანქციები სახალხო კუბის წინააღმდეგ. დემონსტრაცია მიმდინარეობდა ქვეითი და ცხენოსანი პოლიციის გაძლიერებული რაზმების მეთვალყურეობით.

ჰავანა, გაზეთმა „რევოლუსიონმა“ გამოაქვეყნა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს ინტერვიუ ამ გაზეთის დირექტორისადმი „აგრესია კუბის წინააღმდეგ, — განაცხადა ნერუმ, — შელახავდა მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებს. აგრესიას ყოველი ქვეყნის წინააღმდეგ მუდამ მოსდევს ცუდი შედეგები და ზიანს აყენებს საყოველთაო მშვიდობას, რომლის დაცვა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, რომლებსაც შეუძლია დაარღვიონ იგი“.

უპასუხა რა კითხვაზე პუნტა-დელ-ესტეს თათბირის შესახებ, ნერუმ განაცხადა: „ყოველ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება... მე წინააღმდეგი ვარ ყოველი აგრესიისა, ეხება ეს კუბას თუ სხვა ქვეყანას“.

მეხიკო. მექსიკის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომისიამ მოუწოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ერთობლივად დაიცვან სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპები და ბერგელ რიგში გაილაშქრონ კუბის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის წინააღმდეგ.

მექსიკის კომუნისტური პარტია გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მისწრაფებას თავს მოახვიონ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს, რომელიც პუნტა-დელ-ესტეში (ურუგვაი) მიმდინარეობს, კუბის იზოლაციისა და მის წინააღმდეგ კოლექტიური სანქციების მიღების თავიანთი გეგმები, და აღნიშნავს, რომ მთელი ლათინური ამერიკის ხალხთა ინტერესებისათვის მექსიკამ უნდა უარყოს ყოველგვარი ცდა დაგმონ კუბა და მოითხოვონ თვითგამორკვევისა და ჩაურეველობის პრინციპების სრული პატივისცემა.

მიმართეა შეიცავს წინადადებას მოეწყოს ყველა იმ პარტიის წარმომადგენელთა თათბირი, რომლებიც კუბას იცავენ, რათა შემუშავდეს ერთობლივი მოქმედების გეგმები.

ბუენოს-აირესი. ბუენოს-აირესის ქუჩების სახელწოდებათა ძველი ფეოდალების ადგილს გაჩნდა ახალი. მაგალითად, ნიუ-იორკის ქუჩას დაარქვეს რევოლუციური კუბის ქუჩა, მონროს ქუჩას—ფიდელ კასტროს ქუჩა. ეს როდი გაკვთდა არგენტინის დედაქალაქის მუნიციპალურ ხელისუფალთა გადაწყვეტილებით. ახალი ფირფიტები დაამზადეს და გამოკიდეს ქუჩელი ხალხის მეგობრებმა. ამით მათ გამოთქვეს პროტესტი ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციების მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის გამო, რომელიც მომართულია კუბის წინააღმდეგ.

პარიზი, საფრანგეთის მშრომელები და დემოკრატები და პირველ რიგში კომუნისტები გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა პოლიტიკას, რომლებიც თავს ესხმიან კუბას პუნტა-დელ-ესტეს (ურუგვაი) თათბირზე, რომელიც მოეწყო ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის აღმოსავლეთ ნაწილიდან. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჟაკ დიუკლოს განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ლუმანიტეში“, ჟაკ დიუკლო აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ვერ უპატიებიათ კუბელი ხალხისათვის ის, რომ იგი გაბედა ეფიცა ბატისტას ავბედითი დიქტატურისაგან და დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას, და გაფრთხილებას იძლევა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისადმი კუბის მხრივ მოჩვენებითი საფრთხის საბაბით ამერიკელ იმპერიალისტებს სინამდვილეში სურთ ლახვარი ჩასცენ კუბის დამოუკიდებლობას.

ჟ. დიუკლო გამოთქვამს რწმენას, რომ იმპერიალისტთა ყველა ეს ზრახვა კუბის მიმართ ჩაიფშვება. საფრანგეთის მშრომელთა და დემოკრატთა სახელით საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მხურვალედ მიესალმება კუბელ ხალხს და აღუთქვამს მას საფრანგეთის - კომპარტიის ძმურ სოლიდარობას. (საკდესი).

დახედეთ ამ ფოტოსურათებს. საიდან არის ისინი? ამჟერად კოლუმბიიდან, იმ ქვეყნიდან, რომელიც ინიციატორია ამერიკის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევისა პუნტა-დელ-ესტეში „კუბის საკითხის“ განსახილველად. ეს სურათები იმ ქვეყნიდან არის, რომელიც „დახმარებას“ იღებს იანკების უბადალუნელი გეგმით — „ალიანსი პროგრესის გულისათვის“.

კოლუმბიის მთავრობა ვაშინგტონის საამებლად კოლუმბიელი ხალხის წინააღმდეგ სისხლიანი ტერორის პოლიტიკას ეწევა. მისი პირველი მრჩეველები ამ საქმეში არიან ამერიკელი ინსტრუქტორები და სამხედრო მისიები, რომლებსაც ვითომდა „დახმარების“ გასაწევად გზავნიან იქ შეერთებული შტატები. უმწეო მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისა და ბანდიტიზმის აქტებს სჩადიან ეგრეთწოდებული „კონტრპარტიზანები“, რომლებიც მომზადებული არიან ამერიკულ სპეციალურ სკოლებში პანამასა და ფორტ-ბრაგში (აშშ).

დღე არ გავა, რომ ტელეგრაფმა არ გადმოსცეს ცნობა კოლუმბიის სოფლებზე თავდასხმის შესახებ. ეი ერთ-ერთი უკანასკნელი ცნობა. ასოშიეტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა გადმოსცა, რომ 22 იანვარს თავს დაესხნენ მთელ რიგ სოფლებს კალიედონიის რაიონში (ვალიეს პროვინცია).

პირველ სურათზე ვხედავთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაგზავნილი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი „კონტრპარტიზანების“ მხეცობას. მკვლელი კოლუმბიის არმიის სამხედრო მოსამსახურეა, ამერიკული იარაღით აღჭურვილი. ამ კაცისამის ხელში უჭირავს გლეხის მოკვეთილი თავი.

მეორე სურათზე პოლიციელები ერეკებიან ბანკების მოსამსახურეთა დემონსტრაციას. ერთ-ერთი დემონსტრანტი ხელებშეკრული მიჰყავთ.

ასე წარმოუდგენოათ ვაშინგტონელ მმართველებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში „პროგრესის გულისათვის კავშირის“ გეგმის გამოყენების შედეგები. ამ გეგმას ლათინური ამერიკის მცხოვრებთათვის მკვლელობა, წამება და ძალადობა მოაქვს.

სურათები ამოღებულია კოლუმბიური გაზეთებიდან „ვოს დე დემოკრასია“ და „უნდად სინდიკალ“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

თავდასხმა ნეპალის მეფეზე

ლონდონი, 23 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო კატმანდუდან იუწყება, ნეპალის რადიომ დღეს გადასცა, რომ 22 იანვარს თავს დაესხნენ ნეპალის მეფე მაჰენდრას. მეფეს ესროლეს გრანატი, როცა იგი საჯარო მიტინგზე მიდიოდა. მეფე მაჰენდრა უვნებლად გადარჩა.

აპრძალვები საფრანგეთში

პარიზი, 23 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის ხელისუფლებამ აკრძალეს საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროს ეზოში „საიდუმლო შეიარაღებულმა ორგანიზაციამ“ მოაწყო ტერორისტული აქტი, რის შედეგად ერთი კაცი მოკლულია და 32 დაჭრილია. ეს დემონსტრაცია უნდა გამართულიყო დღეს ნაშუადღევს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის წინ.

ახალი პროვოკაცია

პნომ-პენი, 22 იანვარი. (საკდესი). 21 იანვარს სამხრეთ ვიეტნამის სამმა თვითმფრინავმა დაარღვია კამბოჯის საჰაერო სივრცე სვაი-რიენგის პროვინციის რაიონში და ჰაერიდან ცეცხლი დაუშინა სოფელ ბა თხუს. ერთი მოკლული, სამი მძიმედ დაჭრილი — ასეთია სამხრეთვიეტნამელ საჰაერო მეკობრეთა ახალი დანაშაულის შედეგი.

დღეს დილით ადგილობრივ და უცხოულ ფურნალისტთა ჯგუფი, აგრეთვე კამბოჯის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის წევრები გაემგზავრნენ ინციდენტის ადგილზე.

პროვოკაციული ოპერაცია

ბონი, 23 იანვარი. (საკდესი). ამერიკის სამხედრო ხელისუფლებმა დაამთავრეს დიდი პროვოკაციული ოპერაცია — საჰაერო გზით ამერიკის შეერთებული შტატებიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადმოიყვანეს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მე-4 დივიზიის 6.000 ჯარისკაცი. დასავლეთ გერმანიაში ჩამოსული ამერიკული ნაწილები განლაგებული არიან მანჰაიმის რაიონში. შემდეგ მათ გადაიყვანენ ჰოენფელდის სამხედრო-სასწავლო ბაზაში ქალაქ ბამბერგის ახლოს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ნატოს დიდ სამხედრო მანევრებში, რომლებიც, როგორც პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, მოეწყობა „საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში“.

გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ მოაცვლებით, ამ მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე რამშტაინში (ბავარია) განლაგებული ნატოს რეაქტიული ავიაგამანადგურებლების ტაქტიკური შენაერთები.

როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, მანჰაიმის მანაკი, სადაც მოთავსებული არიან ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული ჯარები, ამ დღეებში დაათვალიერა ევროპის ცენტრალურ ზონაში ნატოს სამჭელეთო ჯარების სარდალმა ყოფილმა ჰიტლერელმა გენერალმა შპაიდელმა.

გიზენგას ლუმუმგას ხვედრი ელის

ლეოპოლდვილი, 24 იანვარი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი გ. ფედიანინი იტყობინება: აფრიკის სოლიდარობის პარტიის თავმჯდომარე ანტუან გიზენგა, რომელიც 22 იანვარს ცენტრალური მთავრობის თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზიდენციიდან მისთვის სპეციალურად განკუთვნილი ვილაში გადაიყვანეს, წარსულ ღამით წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. გიზენგას თანამებრძოლთა და მეგობართა ჯგუფმა, რომელიც დღეს დილით მივიდა ამ ვილაში, ვერ ნახა იქ ვერც გიზენგა, ვერც მისი „დაცვა“.

აქ ცნობილი გახდა, რომ ანტუან გიზენგა წაიყვანეს მობუტუს პარაშუტისტებმა სამხედრო ბანაკში „ბინზაშინ“ ლეოპოლდვილის მახლობლად, სადაც იმყოფება მობუტუს პირადი ბანაკი და სადაც ამ ცოტა ხნის წინათ გადასახლდა უშიშროების სამსახურის უფროსი ნენდაკა, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის გბენიეს ბრძანებით ამ ცოტა ხნის წინათ ფორმალურად გადაიყვანეს თავისი მოვალეობისაგან. ამავე ბანაკში, როგორც იუწყებიან, იმყოფება საპარლამენტო ხელშეუხებლობას მოკლებული სამხრეთ კასაის თვითმარქვია „მეფე“ ალბერ კალონჯი.

აქ გამოირკვა აგრეთვე, რომ განვლილ ღამით შინაგან საქმეთა მინისტრის კრისტოფ გბენიეს ბინაში შიუტანეს ხელმოსაწერად ბრძანება იმის შესახებ, რომ გიზენგა წინასწარ ჩასვან საპყრობილეში. გბენიემ უარი თქვა ხელი მოეწერა ამ ბრძანებაზე, როგორც უკანონოზე.

კონგოს პარლამენტის ერმა დეპუტატმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ სერიოზულად გვაშინებს, რომ განმეორდება 1961 წლის ტრაგედია, როცა რეაქციულმა ძალებმა დასავლეთის კოლონიალისტური წრეების მითითებით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულებრივი ხელშეწყობით მოკლეს პატრის ლუმუმბა“. ამ დეპუტატმა ითხოვა არ დასახლონ მისი ვგარი, რადგან შიშობს, რომ დევნას დაუწყებენ. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელები კონგოში, — თქვა მან, — ახლა ზუსტად ისეთსავე პოზიციას ადგანან, რაც ლუმუმბას მიმართ ეკავათ. ჩვენ, კონგოს ნაციონალისტები მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, მთელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რომ არ დაუშვან ანტუან გიზენგას — ლუმუმბას ერთგული თანამებრძოლისა და მიმდევრის მოკვლა“.

ბონის ხელისუფალნი ამზადებენ სასჯელს

ბონი, 23 იანვარი. (საკდესი). დღეს კარლსრუეს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში იწყება იმ ბრალდებათა წინასწარი გარჩევა, რომლებიც ბონის მთავრობამ წაუყენა ანტიფაშისტურ ორგანიზაციას — ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანებას. ჯერ კიდევ 1959 წლის ოქტომბერში მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი შრედერი გამოვიდა ამსურდული ბრალდებებით, თითქოს ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანება მემკვიდრეა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აკრძალული გერმანიის კომუნისტური პარტიისა. ამ დუმტკიცებელ ბრალდებათა საფუძველზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს ამ ანტიფაშისტური ორგანიზაციის აკრძალვას, რომელიც დაუცხრომლად ეწევა თანამიმდევრულ ბრძოლას მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ და ამხილებს ყოფილ ნაცისტთა მოძალეობას დასავლეთ გერმანიაში.

თათბირის კულისებში

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო საგენტოები პუნტა-დელ-ესტედან იუწყებიან, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის კულისებში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ლათინური ამერიკის ქვეყნების დელეგაციებზე და აიძულოს ისინი დათანხმდნენ მის გეგმას, რათა კოლექტიური სანქციები იქნეს მიღებული კუბის წინააღმდეგ.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნიუშნლის სააგენტოს კორესპონდენტი პუნტა-დელ-ესტედან იუწყება, თათბირის გახსნის წინა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რასკი შეხვდა ლათინური ამერიკის წამყვანი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს და განუცხადა, რომ „უნდა გაირკვეს ამერიკის სახელმწიფოთა სისტემიდან“. რასკმა, წერს კორესპონდენტი, დაიკავა „მკაცრი პოზიცია“ და მოუწოდა „გადამწყვეტი მოქმედებისათვის“ კუბის წინააღმდეგ.

გენერალურ ასამბლეაში

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის თავმჯდომარემ მონჯი სლიმმა გუშინ გამოაცხადა, რომ შესაბამისად- რეზოლუციისა „კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ“, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ 1961 წლის 20 ნოემბერს მიიღო, დანიშნულია დეკლარაციის გამოყენების საკითხის განმხილველი სპეციალური კომიტეტის 17 წევრი. სპეციალური კომიტეტის შემადგენლობაში დანიშნული არიან სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, პოლონეთის, ინდოეთის, ეთიოპიის, მალის, იუგოსლავიის, კამბოჯის, ტუნისის, ავსტრალიის, იტალიის, მადაგასკარის, სირიის, ტანგანიკის, ურუგვაისა და ვენესუელის წარმომადგენლები. გენერალური ასამბლეის 1961 წლის 27 ნოემბრის რეზოლუცია, კერძოდ, წინადადებას აძლევს სპეციალურ კომიტეტს განიხილოს დეკლარაციის გამოყენების საკითხი, აცნობოს თავისი მოსაზრებანი და რეკომენდაციები დეკლარაციის განხორციელების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ და წარუდგინოს მოხსენება გენერალურ ასამბლეას მის XVII სესიაზე.

ბოლივიის ფინანსური ბაზრის ინფლაციური ბუნება

ლა-პასი, 23 იანვარი. (საკდესი). ბოლივიის ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ბოლივიის ფინანსური ბაზრის ინფლაციური ბუნება ამ ბოლო დროს ასეთ ფიგურებს აღწევს: 1960 წელს ინფლაციის ინდექსი 12,3 ტოლი იყო, 1961 წელს — 14,2, 1962 წელს — 16,4, 1963 წელს — 17,1. ინფლაციის ინდექსი 1963 წლის ბოლოს 1960 წლის ბოლოსთან შედარებით 1,4-ჯერ მეტია.

იკვეცას მთავრობის საშიში პოლიტიკა

ტოკიო, 23 იანვარი. (საკდესი). იკედას მთავრობის საგარეოპოლიტიკური კურსი ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვითარების განვითარებას და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, განაცხადა დღეს იაპონიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ კავაკამმ, როცა შეკითხეა შეიტანა იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის სხდომაზე. კავაკამმ მკაცრად „გაკიცხა მთავრობა, რომელიც ჩქარობს დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა სამხრეთ კორეასთან, საიდაც მძვინვარებს „სამხედრო, დიქტატურული რეჟიმი, რომელიც არ ცნობს სიტყვის თავისუფლებასაც კი“.

იაპონიის მთავრობის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მისი 700-მილიონიანი მოსახლეობის უგულებელყოფის პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნა კავაკამმ, აგრეთვე ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვითარებას. მან დაახასიათა, როგორც საერთაშორისო თვალსაზრისით აბსოლუტურად უსაფუძვლო აზრი, რომ იაპონია-ჩინეთის ურთიერთობა უკვე ნორმალიზებულია ტაივანის ხელისუფლებასთან საბჭო ხელშეკრულების არსებობის გამო.

არ შეიძლება მივიჩნიოთ, განაცხადა კავაკამმ, რომ პრემიერ-მინისტრი ამ საკითხების გადაჭრაში ნამდვილად ზრუნავს იაპონელი ხალხის ინტერესებისათვის.

კავაკამმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იკედას ეკონომიურმა პოლიტიკამ ახალი გაჭირვება მოუტანა იაპონელ ხალხს.

ჯალათი თავს ვერ დაადწევს შურისძიებას

კანბერა, 23 იანვარი. (საკდესი). ავსტრალიაში კვლავ იმალება სამხედრო დანაშაული ე. ვიქსი, რომელმაც საზარელი ბოროტმოქმედებანი ჩაიდინა ესტონეთში სამამულო ომის დროს. ავსტრალიის მთავრობამ, როგორც ცნობილია, უარით უპასუხა საბჭოთა კავშირის მოთხოვნას გადაეცა ვიქსი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რათა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე. როგორც კი საბჭოთა კავშირიდან მოვიდა ცნობა, რომ ვიქსს სხვა ფაშისტ ჯალათებთან ერთად დაუსწრებლად გასამართლებენ, მან მიატოვა თავისი სახლი სიდნეიში და არავინ იცის საით წავიდა. ამას იუწყება დღეს სიდნეის საღამოს გაზეთი „სანი“.

გ. ჰ. ლექავა

ხანმოკლე და მეტად ნაყოფიერი შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ... 1943 წლიდან ... ლექავა.

გ. ლექავა დაიბადა 1910 წელს ქ. ფოთში, მოსამსახურის ოჯახში.

1934 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ჰიდროტექნიკის ფაკულტეტი.

გ. ლექავას სახელი განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის განვითარებასთან.

აღნიშნულ სისტემაში მან 1933 წლიდან დაიწყო მუშაობა.

1934 წელს უკვე ხელმძღვანელობს აჭარის სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს, 1937 წლიდან კი გადმოვიდა თბილისში და „მუშაობა საქართველოს სსრ ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოში ჰიდროლოგიური სექტორის უფროსის თანამდებობაზე, შემდეგ კი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო 1952 წლიდან ამავე სამმართველოს უფროსად.

სამსახურთან ერთად გ. ლექავა ეწეოდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

დიდ სამამულო ომში მონაწილეობისათვის გ. ლექავა დაჯილდოებული იყო წოდელი ვარსკვლავის ორდენით და რამდენიმე მედლით.

გ. ლექავა თავმდაბალი, გულისხმიერი და შრომისმოყვარე ადამიანი იყო. ძალთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.



სიმჭიდროვე ლიდერთა ჯგუფში

ერევანი, 24 იანვარი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). მეათე ტურით დამთავრდა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ნახევარი.

მაყურებელთა ყურადღება პირველ რიგში გამახვილებული იყო ლიდერთა პარტიებზე.

აღსანიშნავია ზატულოვსკაიასა და ვოლპერტის ორთაბრძოლა. აქ გათამამდა სიცილიური დაცვა; ზატულოვსკაია დიდხანს ინარჩუნებდა პოზიციურ უპირატესობას. ბრძოლის დასკვნითს ნაწილში მეტოქეები ძლიერ ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. ბაქოელმა მოჭადრაკემ ვერ შეამჩნია მამათი ორ სვლაში, მაგრამ არც ვოლპერტი თამაშობდა ზუსტად. ამ უკანასკნელმა დაუშვა უხეში შეცდომა, დაკარგა ლაზიერი და იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო.

ასევე საინტერესო აღმოჩნდა ზვორიკინასა და კოიეკეის პარტია, რომელიც მოიგო ზვორიკინამ.

ტახომირზოამ წარმატებით ჩაატარა ბრძოლა შაღურას წინააღმდეგ და აიძულა მეტოქე დანებებულიყო. კუშნირმა მოუგო ბიშარდს.

ტოგობიძემ დეპიუტიდან ვერ მიიღო ინიციატივა იგნატიევასთან პარტიაში, მაგრამ შემდეგ იგი ზუსტად თამაშობდა. ეტლების გაცვლის შემდეგ შეიქმნა ისეთი პოზიცია, საიდაც ყაიმი გარდუვალი იყო. მოწინააღმდეგეებმა გათამაშების ცხრილში ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერეს. ასეთივე შედეგით იქნა ფიქსირებული როზატერე-კაცკოვას, ნახიმოვსკაია-კოზლოვსკაიას, იაკირ-სემეონოვასა და რანიკუ-ლიაბუნოვას პარტიებში.

კაკაბაძე-ბორისენკოს პარტია გადაიდო. ბორისენკოს ორი ზედმეტი პაიკი აქვს.

10 ტურის შემდეგ ზატულოვსკაიას 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, ტოგობიძეს — 6,5 ქულა, კუშნირს — 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

25 იანვარს გათამამდება გამოტოვებული და გადადებული პარტიები.

მსოფლიო ჩემპიონის ტრიუმფი

სტოკჰოლმი დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, სადაც სხვა მოჭადრაკეებთან ერთად გამოდიოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი და გროსმაისტერი ს. ფლორი.

ტურნირი აღინიშნა მსოფლიოს ჩემპიონის მ. ბოტვინიკის ტრიუმფით. მან 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

საკავშირო ჩემპიონატი ფრენბურთში

გუშინ მოსკოვსა და ხარკოვში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები ფრენბურთში. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — თბილისს „ბურევესტნიკის“ ქალთა და ვაჟთა გუნდები გამოდიან ხარკოვის ჯგუფში.

პირველი წრის პირველ ტურში თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდი თამაშობდა კიევის „ბურევესტნიკის“ წინააღმდეგ და წააგო შეხვედრა ინგარით 1:3.

შეუპოვრობით გამოირჩეოდა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და კიევის „ლოკომოტივის“ ვაჟთა გუნდების მატჩი. გაიმარჯვეს თბილისელებმა 3:2.

შეჯიბრება გრძელდება.

საბჭოთა მოჭადრაკეები სტოკჰოლმში

გუშინ სტოკჰოლმში საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები — გროსმაისტერები პეტროსიანი, კორჩნოი და გელერი, აგრეთვე ოსტატი შტეინი. სსრ კავშირის მოჭადრაკეებს სტოკჰოლმის აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

28 იანვარს გაიხსნება საქართველოს სსრ კომპოზიტორთა მესამე ყრილობა.

დელეგატების რეგისტრაცია იწყობოდეს საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირში (რუსთაველის პრ. 22), შაბათს, 27 იანვარს დილის 10 საათიდან.

რედაქტორი
დ. მაჟღლიშვილი.

კონკურსი

ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალების შესამუშავებლად

შეანასაკნელ წლებში ბორჯომისა და ახალციხის რაიონების ტყეებში გავრცელდა წიწვოვანი ჯიშების, განსაკუთრებით კი ნაძვის სამში მავნებელი — ნაძვის დიდი ლაფნიჭამია, რომელიც იწვევს ნაძვის ხეების დაზიანება-განადგურებას.

ამჟამად არსებული ბრძოლის საშუალებანი ვერ უზრუნველყოფენ ამ მავნებლის მოსპობას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მოეწყოს კონკურსი ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალურ საშუალებათა შესამუშავებლად.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ყველა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების კოლექტივებს, ინსტიტუტებსა და წარმოების მუშაკებს, აგრეთვე ცალკეულ პირებს. გამონაკლისს შეადგენენ ავტორები, რომელთა გამოგონებანი და რაციონალიზატორული წინადადებანი უკვე მიღებულია წარმოებაში დასანერგავად, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მუშაკები, რომელთა წინადადებანი თემატური გეგმების დამუშავების შედეგია.

კონკურსის ამოცანაა შემუშავებულ იქნას ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური საშუალებანი ქიმიური, ბიოლოგიური და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა სახით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული მავნებლის მოსპობას.

წარმოდგენილი ღონისძიებანი წინასწარ უნდა გამოიცადოს ფართო საწარმოო პირობებში დაინტერესებული ორგანიზაციების — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალთა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

პრემიის მიკუთვნებას აწარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შექმნილი ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისია.

კონკურსის ვადა დადგენილია 1963 წლის დეკემბრის ბოლომდე. (საკდესი).

კ. წაქაძის გრწყინვალე ნახტომი

საბჭოთა მოთხილამურეები, მათ შორის ტრამპლინიდან მხტომელები, ემზადებიან მსოფლიო პირველობის გათამაშებისათვის, რომელიც ზაკოპანეში გაიმართება.

დიდი ინტერესი გამოიწვია 80-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში საბჭოთა და იუგოსლავიელ სპორტსმენთა ამხანაგურმა მატჩმა, რომელიც ქალაქ პლანიცაში გაიმართა. ჩვენი ქვეყნიდან შეჯიბრებაში გამოდიოდნენ კობა წაქაძე და ლევ სიდოროვი.

პირველი ნახტომის შესრულებისას ბაკურიანელმა კ. წაქაძემ აჩვენა ბრწყინვალე შედეგი 82,5 მეტრი. შემდეგი ორი ნახტომის შესრულებისას მან აჩვენა 81,5 და 80,5 მეტრი და 204 ქულით საერთო მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე გამოვიდა იუგოსლავიის ჩემპიონი ბოჟო ემსი.



ვინ აყენებს ჩრდილს

დიდი ხნის განმავლობაში დაუპატიჟებელი მონადირეები სერიოზულ ზარალს აყენებდნენ ცნობილი „კანადელი მწერლის ფერლი მოვატის მამულს. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ მწერალმა არ მოიფიქრა თავისი ტერიტ